


140 / 1989 / 204



4
1989

ՀՈՄԵՆՅՈՒ



საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის კაზინოში.

საქართველოს კომკავშირელთა მრავალათასიანი არმიის სახელოვანი წარმომადგენლები შეიკრიბნენ 2 და 3 აპრილს თავიანთ XXXII ყრილობაზე. ღენინის ორდენოსანი საქართველოს კომკავშირი ამ ყრილობაზეც დიდი გამარჯვებით მოვიდა, საანგარიშო პერიოდში მას ზედღებულ და სამუდამოდ გადაეცა საქავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

„ყოველი კომკავშირელი ქალიშვილი და ქაბუკი — მეთერთმეტე ხუთწლედის წინა ხაზზე! თითოეულისაგან — შესაძლებლობის მაქსიმუმი!“ — ასეთია მიმდინარე ხუთ-

წლედში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მთავარი დევიზი.

როგორც ყოველთვის, ახლაც კომკავშირის ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო დავალებად რჩება მოზარდ თაობაზე, უმცროს და-ძმებზე ზრუნვა.

ბევრი ითქვა ამის შესახებ ყრილობაზე, ბევრი აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხი იქნა წამოწეული წინა პლანზე. გადავაქციოთ XI ხუთწლედის ბავშვებთან მუშაობის ხუთწლედად! — ასეთია საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის ერთ-ერთი მთავარი განაწესი.

ყრილობას მიესალმება მოზარდი თაობა.



ბრიჭუნაზეა გორჯოშვილი მოსწავლე მ. რევაზიშვილი.



ჩვენი უროსი მეგობრები — ქრილობის დელეგატები

ინის რაიონის 30-ე კომკავშირულმა კონფერენციამ რესპუბლიკის კომკავშირის 32-ე ყრილობის დელეგატად ამირჩია.

მეუბნებიან, 21 წლის ახალგაზრდისათვის ყველაფერი ეს ცოტა რო-

მიზანს მიხედვით!

ამ ორი-სამი წლის წინათ ვერც ვიფიქრებდი, რომ წილად მხედებოდა ღიდი პატივი — ვყოფილიყავი სახელოვანი საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობის დელეგატი...

114-ე საშუალო სკოლა, რომელიც 1977 წელს დავამთავრე, ელმავალმშენებელი ქარხნის საშეფო სკოლაა. ჯერ კიდევ პიონერულ ასაკში (რგოლს ვხელმძღვანელობდი, „შეთავსებით“ რაზმის მესაყვირეც ვიყავი) ვიგრძენი ქარხნის კოლექტივის მზრუნველი ხელის სითბო. ამიტომ არავისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, როცა საშუალო სკოლის კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ ქარხნისა და 26-ე პროფტექნიკური სასწავლებლის კარები შევღალე. მას შემდეგ აქა ვარ, ამწყობ ზეინკლად ვმუშაობ სააპარატო საამქროში.

ჩვენს საამქროში 200-ზე მეტი კაცი შრომობს. სხვადასხვა სპეციალობისანი ვართ, მაგრამ ერთ მთავარ საქმეს ვაკეთებთ — ვლ-10 და ვლ-11 მაგისტრალური ელმავლების მართვის პულტისათვის რვა სახის აპარატურას ვაწყობთ. სხვათა შორის, ჩვენს მიერ აწყობილი აპარატურა ნოვოჩერკასკის ელმავალმშენებელ ქარხანასაც ეგზავნება.



ქრილობის დელეგატი გ. წულაია (მარჯვნიდან მესამე) ძველგურალ მახტრიალავს თავს კომკავშირულ პროფტექტორს.

საინტერესო სამუშაოა! ყოველთვის მომიხარია ჩემს ქარხანაში, ჩემს საამქროში... მიხარია ჩემი უფროსი მეგობრის ესტატე მკედლიძის დანახვა; ისიც ამწყობი ზეინკალია, მხარდამხარ ვმუშაობთ. ღიმილით მხედება ცნობილი ხარატი, საამქროს პარტიურის მდივანი მურმან გორგაძე, რომლის შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძობა, მეგობრობა და ჰუმანურობა მოსაბაძია ჩემთვის და ჩემი თანატოლებისათვის... აქვე, ამ საამქროში მუშაობენ მამაჩემიც და ჩემი უმცროსი ძმაც — ზურაბი.

გასული წელი ძალზე სასიხარულო იყო ჩემთვის. გავხდი სკკპ წევრობის კანდიდატი, ამირჩიეს გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომკავშირის კომიტეტის, ხოლო შემდეგ — კომკავშირის ლენინის რაიკომისა და ალკე თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად... ჩავირიცხე ქარხანასთან არსებულ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე... ახლახან კი ლენ-

დიამ. არ ვიცი, შეიძლება ასეც იყოს... ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ასეთი დაფასება, ჩემი შრომის ასეთი აღიარება იმაზე გაცილებით მეტის გაკეთებას მავალებს, ვიდრე დღემდე მიკეთებია. ვიცი, რომ უფრო მეტად უნდა გავზარდო შრომის ნაყოფიერება და ხარისხი, მეტი ვიმუშაო საკუთარ თავზე, უფრო გავაქტიურო და გავამრავალფეროვნო ჩემი საქმიანობა კომკავშირულ-პედაგოგიურ რაზმში (რომლის წევრიც ვარ მურმან გორგაძესთან ერთად), მჭიდრო კავშირი ვიქონიო ჩვენს საშეფო სკოლასთან, მის პიონერულ რაზმეულთან და განვამტკიცო ელმავალმშენებელ ქარხანასთან მათი ურთიერთობის საინტერესო ტრადიციები.

ღიან, ვიცი ეს ყველაფერი და ისიც ვიცი, რომ რაც მიზნად დავისახე, მივალწევ კიდევ!

გიორგი წულაია,
ელმავალმშენებელი ქარხნის
ზეინკალი

საქართველოს ალკე თბილისის და პ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური სააპარატო განყოფილება

პიონერული

პიონერული

4 აპრილი 1982

საქ აკ მა-ის გამომცემლობა

საქ. მსტ. კ. მარქსის
საბ. მან. რედაქცია

ჩვენი უროსი მეგობრები- ქრილოვის დალაგება

**კალაქოვის
უკელაჯე
საქანიძე
უკელაძე**

ჩემს მოსწავლეებთან მეგობრული თუ საქმიანი კონტაქტის დამყარებაში ყველაზე მეტად ალბათ ისევ ჩემი ახალგაზრდობა მეხმარება. ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიკის დამთავრებისთანავე გულმა მშობლიური რაიონისაკენ გამომწია. ჩემს აღმზრდელ ბაღიაურის საშუალო სკოლაში დავიწყე ფიზიკის მასწავლებლად მუშაობა.

მას შემდეგ უკვე სამიოდე წელიც

რდა პედაგოგი, ჩემს პიონერებთან ერთად ხალისით ჩავები ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავთან დაკავშირებულ პიონერულ ექსპედიციაში „ლენინის ოცნების გზებით“. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა—გავიმარჯვეთ. ჯილდოებიც მოსაწონი დაურიგდათ. პიონერებს: რაზმს — მარქსიზმ-ლენინიზმის საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სიგელი, ხოლო აქტივისტთა ტაველიშვილს — საკავშირო პიონერული ბანაკის „არტეკის“ საგზური. გასულ წელსაც დიდი წარმატება მოვიპოვეთ მე-და ჩემმა აღსაზრდელებმა — ოპერაცია „მზის“ საუკეთესოდ ჩატარებისათვის რაზმი რესპუბლიკის ტელევიზიისა და რა-

პედაგოგი და სკოლის პედაგოგთა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, დღესაც ვშეფობ მათ; ვშეფობ ისეთივე ხალისითა და სიყვარულით, როგორც ჩვენი ურთიერთობის პირველ წელს, და მემამყება, რომ შემიძლია, ყველას ხმამაღლა გავანდო ჩემი სიხარულიანი გუმანი — ისინი საზოგადოებისა და ქვეყნისთვის საჭირო, სასარგებლო, ნამდვილად ადამიანებად დაიზრდებიან.

ბედნიერი იყო ჩემთვის ეს ბოლო წლები, ბევრი სიკეთით დასამახსოვრებელი, წარმატებიანი. ჯერ იყო და, ახალგაზრდა პედაგოგთა რაიონული საბჭოს წევრად ამირჩიეს, აქტიური საზოგადოებრივი გარჯისათვის წარმადგინეს საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშანზე „საუკეთესო კომკავშირელ მასწავლებელს“, გასული წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატიც ვარ. ახლა კი სხვა უფრო დიდი პატივი მხვდა წილად — საქართველოს კომკავშირელთა XXXII ყრილობის დელეგატად ამირჩიეს.

ამხელა ნდობას კი მხოლოდ საკუთარი შრომით ნათქვამი პასუხი სჭირდება. მხოლოდ ერთის გაცემების უფლება მაქვს — ღირსი მამულიშვილები, საკუთარი რწმენას, ჭკუასა და ხელებს დანდობილი ახალგაზრდობა გავუზარდო ჩვენს სამშობლოს.

ნინო ჯავახიშვილი,
საგარეოს რაიონის ბაღიაურის
საშ. სკოლის პედაგოგი.



**მოსწავლეები ურადლაით იხეიანს
ნინო ჯავახიშვილის პირიბ საუბარს.**

ასკლ ამოხსენებზე პუიკრობ

უკვე რამდენიმე წელია, ვმუშაობ თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. ეს ჩემი მშობლიური სკოლაა, იგი 1976 წელს დავამთავრე.

ბავშვობიდანვე მიტაცებდა პიონერული საქმიანობა, ყოველთვის დიდი ინტერესით ვმონაწილეობდი სკოლის პიონერულ და კომკავშირულ მუშაობაში. სკოლის დამთავრების შემდეგ კი მტკიცედ გადავწყვიტე, პედაგოგიურ ინსტიტუტში შევესულიყავი, რომ ჩემი საქმიანობა

გავიდა. შევეჩვიე ჩემს მოსწავლეებს, მათმა სწავლამ და პიონერულმა საქმიანობამ ახლა უკვე ბავშვობის კუთვნილება — ჩემი საკუთარი პიონერობა მომაგონა.

ალბათ ამიტომ იყო, რომ პირველსავე წელს ბევრი საერთო ინტერესი გამიჩნდა ჩემს სადამრიგებლო მე-7 კლასთან. ჯერ კიდევ ახალგაზ-

დომალუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა.

ახლა უკვე კომკავშირელები არიან ჩემი პირველი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები, მეცხრე კლასში სწავლობენ, აკადემიური მოსწრებითა და საინტერესო კომკავშირული მუშაობით დღესაც გამოირჩევიან სკოლაში. მეც, როგორც

ბარეთ 1175 მანეთის პარკი. სექტემბერში კი ჩვენი რაიონის სოფლის მშრომელებს ყურძნისა და ხილის კრეფაში ვეხმარებოდით.

მოსწავლეთა პროფორიენტაციის მიზნით მე-8 და მე-10 კლასებისთვის მოვაწყვეთ ღია კარის დღე. მოვიწვიეთ მშობლები, მასწავლებლები, მცხეთის 89-ე პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგები და ოსტატები.

ჩვენს კულტურულ ძეგლებს რომ მოვლა-პატრონობა სჭირდებოდათ, ეს კარგად გვაქვს შეგნებულნი. ამ მიზნით შეფობა ავიღეთ სვეტიცხოვლის ეზოს, წმ. დემეტრეს ტაძრისა და სამთავროს მოვლაზე. ხშირად ვასუფთავებთ სვეტიცხოვლის ეზოს, ვრეცხავთ ფილებს, ვეხმარებით რესტავრატორებს. გული გვტკივა, როცა ვხედავთ ტურისტების მიერ დაბინძურებულ ადგილებს, ტაძრების კედლებზე დატოვებულ „ავტოგრაფებს“. მე მგონი, ამ სიავის ჩადენა მხოლოდ უვიცსა და უკულტურო ადამიანს შეუძლია. სათუთად ვუვლით სანდრო კანდელაკის ძეგლს. ცოცხალი ყვავილებით ვამკობთ მას.

ბევრი ღონისძიება ტარდება ჩვენს სკოლაში მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისათვის. კოლექტიურად ვნახეთ შ. რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლი „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“, შემდეგ კი საჯაროდ განვიხილეთ იგი.

„მაქსიმ გორკის საღამო“ — ასე დავარქვით ღონისძიებას, რომელიც გამორჩენილი საბჭოთა მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა.

ბევრი გეგმა გვაქვს დასახული, ბევრი კეთილი საქმე გვიდევს წინ. ბედნიერი ვიქნები, თუ ამ საერთო წინსვლაში ჩემს პატარა წვლილს შევიტან. მე რომ დღეგატად ამირჩიეს, ამით თანატოლებმა დიდი ნდობა გამომიცხადეს, ეს ბევრს მავალეებს. ვეცდები, კარგი სწავლითა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით გავამართლო იგი.

მანია ჰარლიკაშვილი,

მცხეთის 1-ლი ხაზ. სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.



ზოია
პოსკრენსკაია

ფიჭვი

მხატვარი
თეიმურ ფხიკიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

თუმცა მაისის დღე იყო, მაგრამ ისევე ციოდა, როგორც ოქტომბერში. ცაცხვები მზად იყვნენ თავიანთი შეწითლებული კვირტების გასაშლელად, მაგრამ თავს იკავებდნენ — სუსხი იდგა. მხოლოდ აკაციებს უშიშრად გაეშალათ მწვანე ფრთები გამთოშვ ქარში.

სიცივეს არც ბიჭუნები აგდებდნენ აინუნში. მიხელსონის ქარხნის ახლოს ფეხშიშველა მიაბიჯებდნენ ცივ ქვაფენილზე და რაღაცას მოუთმენლად ელოდებოდნენ.

სერბუხოვის ქუჩა იმ დღესაც თავისი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა: ფურნესთან გრძელი რიგი იდგა, ქვაფენილზე ზანტად აბაკუნებდნენ ფეხებს ფორანში შებმული ცხენები, ხანდახან ტრამვაი დაიწკრივლებდა, მოსახვევებთან პუხრუჭებს ადრჭიალებდა.

მარტოდენ ქარხნის მაღალი ფიცრული გალავნის მიღმა დღულდა სიცოცხლე. გალავნის ღრიტოებიდან ბიჭები ხედავდნენ, რა ფაციფუციით მოჰყავდათ მუშებს წესრიგში ქარხნის ეზო, რა გამალებით აყრიდნენ ყვითელ ხრეშს ჭიშკრიდან ქარხნის კორპუსამდე მისასვლელ გზას.

ყმაწვილებმა მათ დახმარება შეუთავაზეს, მაგრამ მოხუცმა მუშამ, პეტრე ნიკიფორეს ძემ დაუთაცხა:

— აბა, მოუსვით შინისაკენ! ვერა ხედავთ, როგორ ცივა!

ამ დროს მარშის გრიალი გაისმა და სერბუხოვის ქუჩაზე სამხედრო ორკესტრი გამოჩნდა. მუსიკოსები შუა ქვაფენილზე მოაბიჯებდნენ და თან გაწკრივლებულ სპილენძის ნაღარებს ახმიანებდნენ. ორკესტრის ბოლოში ახალთახალი წითელი დროშები მოფრიალებდნენ, მათ უკან კი უსასრულო რიგებად მოემართებოდნენ წითელარმიელები. წამით თვალები რომ დაგვხუჭა და ყური მიგეგდო, გეგონებოდა: ერთი უზარმაზარი, მძლავრი კაცი მოდის და მთელ ქუჩაზე გაისმის მისი ნაბიჯების ხმა: ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი!

ბიჭები თვალისდახამხამებაში დამწკრივდნენ ორკესტრის წინ, თან ყველანი, თვით ყველაზე პატარა კირიუშკაც კი, ცდილობდნენ მუსიკის ტაქტისთვის აეყოლებინათ ნაბიჯები.

ვასილი წითელბოლკელთა შორის მიდიოდა მხედრული ნაბიჯებით. მაშინვე მოჰკრა თვალი კირიუშკას, უმცროს ძამიკოს, თავისი პფაკით იცნო, მხრებზე ტომარასავით რომ ედგა.

ქუჩის ორივე მხარეს სახლების ფანჯრები გაიღო, გამვლელები გაჩერდნენ, ტრამვაები დადგნენ, ყველა წითელარმიელებს უყურებდა. ქუჩას უცებ სახეიმო ელფერი დაედო.

ბიჭუნები კი აქეთ-იქით არც იხ-

ედებოდნენ, წითელარმიელებივით მხოლოდ წინ იყურებოდნენ, ქარხნის ღია ჰიშკარში თამამად შევიდნენ და ორკესტრთან ერთად კორპუსის შესასვლელთან გაჩერდნენ. მათ უკვე არავინ უცაცხანებდა; პეტრე ნიკიფორეს ძესაც ესმოდა, რომ ეს ყმაწვილები მომავალი წითელარმიელები იყვნენ და საბჭოთა რესპუბლიკის დაცვა მოუწევდათ.

— ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი! — ჩხრიალებს ხრეში ფეხქვეშ — წითელარმიელები მოაბიჯებენ მუშების მიერ მოწესრიგებულ გზაზე. მარჯვნიდან და მარცხნიდან აკაციები ალერსიანად უქნევენ მწვანე რტოებს. აკაციების უკან ცოცხალ კედლად დგანან მუშები: ისინი პარადს იღებენ, სულ ახლახან შექმნილი, თავიანთი წითელი არმიის პირველ პარადს.

ჩაიარეს წითელმა პოლკმა და ნაკრებმა სადარაჯო რაზმმა, მათ მუშათა რიგები შეჰყვნენ კორპუსში, კედლებთან, დაზგებს შორის, ფანჯრის რაფებზე დიკავეს ადგილები, ვეება საამქროს შუაგული კი ძვირფას სტუმრებს დაუთმეს. ბიჭუნები საამქროში ორკესტრთან ერთად შევიდნენ.

გაისმა კომანდა: „თავისუფლად!“ ვასილიმ თვალი მიმოატარა. რამდენიმე ნაცნობი სახეა გარემო — კეთილად, მაგრამ მზერაგამკაცრებელი იყურებიან მუშები; დარიბულად შემოსილან წითელარმიელები — ალაგ-ალაგ დაცხრილული, შეტრუსული, ბრძოლაგამოვლილი ფარაჯები და დახეული ფეხსაცმელები აცვიათ. ოღონდ ეგ არის — ფეხებზე ყველას ახალი, მწვანე სახვევები აქვს შემოხვეული.

ისეთივე ახალგაზრდა მეთაურები, როგორც წითელარმიელები არიან, მწყობრის წინ მიდი-მოდიან, რატომღაც ღელავენ.

მუშებმა იცნეს ვასილი. ისიც მათსავით მიხელსონის ქარხანაში მუშაობდა მამის გვერდით. მამა ფრონტზე დაიღუპა, ვასილი კი წითელ გვარდიაში შევიდა და ცხრაასჩვიდმეტი წლის ოქტომბრის დღეებში ზაჩატიევის მონასტრის იერიშიში მონაწილეობდა. ამ მონასტერში ბუ-

რკუების შტაბი ჩასანგრდა და ვასილიმ იგი თანარაზმელებთან ერთად გამოაპანღურა თავის ციხესიმაგრედან.

მოულოდნელად გაისმა ბრძანება: — სმენა!

წითელარმიელთა მწყობრი ელვისუმალ წელში გაიმართა და გაირინდა.

ბიჭუნებმაც ხელები შარვლის ჩანაკერთან მიიდეს, მუცელი შეიწიეს, მკერდი გამოზურცეს, მაგრამ თვალები მაინც გვერდითა კარისკენ გაექცათ.

აი, კარიც გაიღო და საამქროში რამდენიმე კაცი შემოვიდა.

— „ვაშა!“ — იქუხეს უცერად — ყველამ იცნო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. იგი იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვის მხარდამხარ მოდიოდა. რუხი პალტო ეცვა, კები ოღნავ

გვერდზე ეხურა. სვერდლოვთან ერთად ავიდა ახალგაშალაშინებული ფიცრებისაგან მოწყობილ ტრიბუნაზე, შეჩერდა, ხალხისაკენ მოიხედა და რალაც თქვა ღიმილით.

საამქროში კი აქამდე გაუგონარი ოვაცია ქუხდა.

ვლადიმერ ილიას ძე ერთ წუთს უძრავად იდგა, შემდეგ ჭიბიდან საათი ამოიღო, თავსახურავზე თითი მეტყველად დააკაკუნა და მეთაურებს გადახედა — რა ამბავია, რატომ არ ამყარებთ წესრიგსაო.

მეთაურები კი, ბავშვებივით, მოზღვავებულ სიხარულს ვერ იოკებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, მწყობრისკენ მიტრიალდნენ და ღიმილით გასცეს ბრძანება:

— სმენა!

უზარამზარი კორპუსი მყისვე დადუმდა და განათდა. იქნებ იმ წაშს



მაისის მზემ თავი დააღწია ქუფრი ღრუბლების ტყვეობას, ან იქნებ ღიმილისა და გაბრწყინებული თვალების შუქმა იძალა?

იაკობ მიხეილის ძემ პორტფელი გახსნა, იქიდან ქალაღლის ფურცელი ამოიღო, პენსნე გაისწორა და ძლიერი ხმით წარმოთქვა:

— დღეს ჩვენ დიდი ზეიმი გვაქვს, ამხანაგებო! ახალგაზრდა, მაგრამ ბრძოლებში უკვე თავგამოჩენილი წითელი არმიის მებრძოლები დებენ ხალხის ერთგულების ფიცს. მე წავიკითხავ საზეიმო აღთქმის ტექსტს, ხოლო თითოეული თქვენგანი გაიმეორებს ყოველ მის სიტყვას.

ტრიბუნის წინ დახროვებული ბიჭები უკანთავგადაგდებულნი აპყურებდნენ ლენინს. ვლადიმერ ილიას ძემ კეპი მოიხადა და მეთაურებს გადახედა. მათ ქუდის წინაფრასთან მიიტანეს ხელი.

კირიუშკამ სასწრაფოდ ჩამოიფხატა მამისეული ჯარისკაცური ქუდი და ცერი მაგრად მიიჭირა საფეთქელთან.

იაკობ მიხეილის ძემ ჩაახველა და დაიწყო:

— მე, მშრომელი ხალხის შვილი, საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე ვიღებ მუშათა და გლეხთა არმიის მებრძოლის წოდებას...

— მე, მშრომელი ხალხის შვილი... — ერთი ამოსუნთქვით გაიმეორეს წითელარმიელებმა და კორპუსის კედლები ექოთი გამოეხმაურნენ მათ.

— ვღებ აღთქმას, რომ საბჭოთა რესპუბლიკისათვის ბრძოლაში, სოციალიზმისა და ყველა ხალხის ძმობის საქმისათვის არ დავიშურებ ძალღონეს. თვით სიცოცხლე...

ვასილი თვალს არ აშორებდა ლენინს.

ვლადიმერ ილიას ძე გაუძრევლად, ოდნავ წინ გადახრილი იდგა. თითები, რომლებითაც კეპი ჩაებლუჯა, შესამჩნევად უკანკალებდა. მისი თვალები თითქოს დაუფარავად ამბობდნენ: თქვენ, ახალგაზრდა მებრძოლებს, მძიმე გამოცდა გელით, პარტია გენდობათ და ხალხიც განდობთ თავისი თავისუფლების, თავისი გამარჯვების დაცვას.

პეტრე ნიკიფორეს ძე უყურებდა

ლენინს და ფიქრობდა:

„შენ, ილიჩ, სიყმაწვილეშივე დადე ფიცი, რომ ემსახურებოდი ხალხს, გამოიხსნიდი მას მონობისაგან. როდის დადე ეს ფიცი? იქნებ იმ დღეს, როცა შენი უფროსი ძმის სიკვდილით დასჯის საზარელი ამბავი გაიგე? იქნებ ყაზანის ციხის საკანში, სადაც იმისათვის იჯექი, რომ რუსეთში უსამართლობისა და თვითნებობის წინააღმდეგ აიმაღლე ხმა? ან იქნებ უფრო ადრევე, სიმბირსკის ბაღში, როცა მამა ხალხის გაჭირვებასა და ტანჯვაზე გესაუბრებოდა? ის ფიცი არავის არ გაუგონია, მაგრამ ყველამ იცის იგი შენი საქმეების, შენი გმირული ცხოვრების წყალობით. შენ ფიცი არ გავიტეხია და მეც, ძველი მუშა, ჩვენს შვილებთან ერთად ვფიცავ, დავიცვა ჩვენი გამარჯვება, ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება“.

გაისმა ფიცის ბოლო სიტყვები...

ბოლოს გაისმა კომანდა „თავისუფლად“ და ყველაფერი ერთმანეთში აირია. მუშები მიდიოდნენ წითელარმიელებთან, ხელს ართმევდნენ, ულოცავდნენ. წითელარმიელები მკერდზე წითელ ვარსკვლავებს იბნევდნენ.

— გილოცავთ, ამხანაგო, სოციალისტური ფიცის მიღებას, — მოესმა ვასილის.

მის წინ ვლადიმერ ილიას ძე იდგა. ვასილიმ მხედრული სალაში მისცა. უნდოდა, რაღაც მნიშვნელოვანი, ზეიმური რამ ეთქვა, მაგრამ შემკრთალმა ვერაფერი მოისაზრა.

— თქვენ ოჯახი სოფელში გყავთ. არა? გელოდებიან? მოენატრეთ, ხომ?

ვლადიმერ ილიას ძეს ადამიანების სულში ჩაწვდომის საოცარი უნარი ჰქონდა.

— დიახ, სოფელში მყავს. ვაპირებდი ჩასვლას, მაგრამ ამჟამად არ შეიძლება. აი, ბურჟუებს რომ ბოლოს მოვუღებთ, მაშინ მივაკითხავ.

— ჰო, მტერი ბევრი გყავს და ბრძოლაც ბევრი მოგვიწევს, — ჩაფიქრებით თქვა ვლადიმერ ილიას ძემ, შემდეგ პეტრე ნიკიფორეს ძისკენ მიტრიალდა, ხელი ჩამოართვა და ჰკითხა: — თქვენა, თქვენ არ აპ-

ირებთ დასვენებას?

— რა დროს დასვენებაა, ვლადიმერ ილიჩ! ახლა ჩვენ უკვე არმია გყავს, მას კი იარაღი ესაჭიროება. ვიმუშავებთ მთელი ძალღონით.

ყმაწვილები ვლადიმერ ილიას ძეს ფეხდაფეხ დასდევდნენ უკან, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ეტყობოდათ, რაღაც ძალიან აინტერესებდათ. ბოლოს კირიუშკას უბიძგეს, წინ წამოაგდეს და მანაც იკითხა:

— აი, ჩვენ გვინდა გავიგოთ, რამდენი წლისიებს იღებენ წითელ არმიაში.

იქვე მყოფმა დიდებმა კირიუშკას საქციელი არ მოიწონეს — როგორ შეიძლება ასეთი უტაქტობაო. ვლადიმერ ილიას ძემ, რომელსაც თვალში მოხვდა ბიჭუნას ჯარისკაცური ქუდი და მიხვდა, რომ ეს ქუდი დღეობის მამისეულია, სერიოზულად მიუგო:

— შენ აუცილებლად გახდები წითელარმიელი, საბჭოთა ქვეყნის დამცველი.

— მართალია! — უბასუხა კირიუშკამ და ვლადიმერ ილიას ძის მეგობრულ, თან სერიოზულ ზზერას რომ გაუსწორა თვალი, გაიმეორა: — მართალია!

წითელარმიელები მწყობრში დგებოდნენ.

მუშებმა მათს ორსავე მხარეს ცოცხალი კედლები აღმართეს. დაიგრიალა მარშმა.

ვლადიმერ ილიას ძე უყურებდა, რა მტკიცედ მიაბიჯებდნენ მის ახლოს მიმავალი ჰაბუკ წითელარმიელთა რიგები და ფიქრობდა იმაზე, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ძლიერი, საიმედო დაცვა ჰყავდა.

ხოლო კირიუშკას მოეჩვენა, რომ დიდმა, მძლავრმა ადამიანმა უფრო მედგრად გასწია წინ და ახლა ალბათ მთელ საბჭოთა მიწა-წყალს ესმოდა მისი ნაბიჯების ხმა: ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი!

ეს ამბავი მოხდა შაბათს, 1918 წლის 11 მაისს მოსკოვში, მიხელსონის ქარხანაში, რომელიც ამჟამად ვლადიმერ ილიას ძის სახელს ატარებს.



ასურეთელი პიონერები სახალხო ინიციატივას

თეზა სავარალი

ფოტო ავტორისა

იმ ზაფხულს ასურეთის მეურნეობის მუშაკები საგონებელში ჩავარდნენ — ბალ-ბოსტნებს კოლორადოს ხოჭო შეესია. უმოწყალოდ ნადგურდებოდა კარტოფილის ნათესები. მეურნეობას მუშა-ხელი არ ყოფნიდა მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად. დრო კი არ ითმენდა. და აი, სკოლის ინიციატივით შექმნილი შრომისა და დასვენების ბანაკი „მამითაღი“ მხარში ამოუდგა მეურნეობას. სკოლის კომკავშირელებს ფეხდაფეხ მიჰყვნიან პიონერებიც, და დილიდანვე, ვიდრე მზე შუბისტარზე ავიდოდა, ნახევარლიტრიანი ქილებით ხელში მოსწავლეები კარტოფილის კვლებში იღებენ და თითოეულ ბუჩქს ხელით აცლიდნენ ხოჭოებს, — ჯერ ქილებში და მერე ცეცხლში ჰყრიდნენ. ლევან და დავით ბაქრაძეები, პავლე აფციაური და მანანა წიკლაური, ზურაბიკო წულუკიძე და კაკო ჭიჭინაძე ისე ხელ-

მარდად აცლიდნენ კარტოფილის ბუჩქს ხოჭოებს, რომ გამოცდილ მებოსტნესაც შეშურდებოდა. მართალია, პირველ ხანებში გოგონებს აძაგდაგებდათ ხოჭოს დანახვაზეც კი, მაგრამ მერე შიშს დასძლიეს და ვაყებსაც აჯობეს გულმოდგინებაში. გადარჩა კარტოფილი. როცა კარტოფილის აღების დრო დადგა, ასურეთელმა პიონერებმა არც მაშინ დაივიწყეს მეურნეობის მუშაკები. ყოველ დილით მოდიოდა სკოლასთან მეურნეობის მძღოლი მიხეილ დონაძე თავისი მანქანით, კალათებითა და ვედროებით აღჭურვილი შრომისმოყვარე გოგო-ბიჭები ფუტკრებით შემოეხვეოდნენ მას და

ძარაც უმალ იგებოდა. ძია მიხეილს ისლა რჩებოდა, რომ მანქანა კარტოფილის ნათესებისაკენ წაეყვანა.

არც სიმინდის მოსავლის აღებაში შეურცხვენიათ თავი ასურეთელ პიონერებს. თვალს უხაროდა, უფროსებს გული სიამაყის გრძობით ეგებოდათ, როცა მათ შეთანხმებულ შრომას უყურებდნენ. კობა წიკლაურს და კობა გურგენიძეს მოხერხებულად გაეყარათ მკლავები გოდრის სამხრებში, იამზე ავალიანი და მარინე კაციტაძე კი გამალებით სცლიდნენ თავიანთ პატარა, სიმინდის ტარობით სავსე კალათებს ჩაცუცქული ბიჭების მხრებზე მორგებულ გოდრებში.

— აბა, ვეფხო, ერთი ხელი ამიკარამ გოდორზე, — უთხრა ვეფხია კობახიძეს ემზარ ნეფარიძემ. — ამ ჭინკებმა ისე აავსეს გოდორი, ვეღარ ამიწევია!

იქვე სიმინდებში კი გოგონების კისკისი გაისმა: „დახე, ძვრა ვერ უყო“.

— გოგო, მოდი, ეგრე ნულარ გავავსებთ მაგის გოდორს, ცოდოა, წელი მოსწყდება, — შეიბრაღეს ბიჭი გოგონებმა...

ბოლოს, როცა ყველაფერი დამთავრდა და მოსავალიც დააბინავეს, მეორე რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ მარინა კაციტაძემ დღიურში ღამაზად ჩაწერა: დავებმარეთ მეურნეობას სიმინდისა და კარტოფილის მოსავლის აღებაში. სკოლის ყველა მოსწავლესთან ერთად მეურნეობის ბელელში შევიტანეთ 90 ტონა სიმინდი და 60 ტონა კარტოფილი.

ასურეთელმა პიონერებმა არც წიქარა დაივიწყეს, მასაც მიაართვეს



„ახალქალაქ—მარაზდის საკინიგზო მავისტრალს ჩვენი პიონერთა რაზმები“ — ამ ღვივით მოამბავან ოპერაცია „შავი საბაღოს“ მოივარეშავი.

პატარა გოგონას რაციონში აუცილებელია ღვინის რაჲ. მს კარგად იცინან გულიკო არჩაპაძე და ნინო კობახიძე.



— ოო, რას გაიხარებენ ჩვენი მესაქონლეები! — თქვა პაატა მურუსიძემ.

— ვის გულისხმობ? — გამოეხმაურა ვია კაციტაძე.

— როგორ თუ ვის? მეხუთეკლასელები სულ იმას გაიძახიან, რომ ბაგურ კვებაზე დაყენებულ საქონელს მეტი ყურადღება და ზრუნვა სჭირდებაო. საკვების რაციონიც საგანგებოდაა შერჩეული. ჰოდა, თუ


კი სკოლამ 6 ტონა ჯართი ჩააბარა სახელმწიფოს.

— თუ ასეთი მონდომებით შეგროვებთ ჯართს, რელსებს კი არა, ერთ რომელიმე პატარა ბაჭისაც ააშენებთ, — შეაქო პიონერ-მოსწავლეების ენთუზიაზმი რაიონის კომკავშირის კომიტეტის მეორე მდივანმა ციციბო წულუკიძემ და კომკავშირის რაიკომის სიგელი გადასცა პიონერებს.

ასურეთელი პიონერები შეძლებისდაგვარად მონაწილეობენ რესპუბლიკურ პიონერულ ოპერაციებსა და აქციებში. „მწვანე აფთიაქის“ ოპერაციის მონაწილეებმა, მიუხედავად სიძნელებისა, მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს ერთი ტონა ასკილი. არც „თავთაველებმა“ შეირცხვინეს თავი, მათ 25 ტონა სიმინდი და ხორბალი აკრიფეს ნაყანეებში და მეურნეობის ბარაქა კიდევ უფრო გაზარდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფლის პირობებში ოპერაცია „თეთრი ფარის“ ჩატარება სიძნელებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ასურეთელმა პიონერებმა აქაც იმარჯვეს და სახელმწიფოს ტონა-ნახევარი მაკულატურა ჩააბარეს. ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის რაზმეულის წევრებმა პიონერთა ორგანიზაციის საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ დაწესებული სამკერდე ნიშანი — „მილიონი სამშობლოს“ — დაიმსახურეს. დაჯილდოებულთა შორის არიან იამზე ავალიანი, ვია მესტვირიშვილი, ემზარ ნეფარიძე, დათო ყრუაშვილი და სხვები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მართალია, ასურეთელ პიონერებს



ასურეთელ პიონერთა ინტარნაციონალური ამგოგროვის კლუბი ათი წლისაა.

მაცხოვრებლის ფარის მუშაობას მხარში უდგანან თამილა ნავალიშვილი, ანჰელა არვაჰა და ნიკო სულხანიშვილი.

— თჰჰჰე გაიხარეთ, შვილებო! — ლოცავს კლავდია ზაგია თეჰრელებს.

თავიანთი ნობათი. ზაფხულის ცხელ დღეებში ნამგლებითა და ცელებით, ფოცხებითა და ორთითებით შეიარაღებული პიონერ-მოსწავლეები უბნების მიხედვით განაწილდნენ. ღობტყელი პიონერები ცალკე გავიდნენ, იქაურებმა ციფწყალა აახშიანეს, ბაღების უბანში — ბაღელები აშრი-ალებდნენ ნამგლებსა და ცელებს. ბიჭები თიბავდნენ, გოგონები აბულულულებდნენ. ელგუჯა გოცირიძე და გოჩა აფციასური გამოცდილი მთიბავებივით მიიწევდნენ წინ. მათ კვალში მიჰყვებოდნენ იგორ სლობოჩუკი და გიორგი მესტვირიშვილი.

უფროსებს ვალში არ რჩებოდნენ მეხუთეკლასელები — ნიკო სულხანიშვილი და ზვიად ყრუაშვილი. ბიჭებს ნამგლები მოემარჯვებინათ და ცელისათვის მიუდგომელ ადგილებში, გზისპირებზე, ბუჩქებისა და ღობეების ძირებში აბიბინებულ ბალახს უტევდნენ.

სენაყი ყუათიანი არ იქნება, წველადობაც დაეცემა.

— ფიჭრი ნუ გაქვს! ყველაფერი რიგზე იქნება! — გაამხნევეს პაატა და, მართლაც, გამარჯე გოგო-ბიჭებმა საზაფხულო არდადეგების პერიოდში გულმოდგინე და ხალისიანი მუშაობის შედეგად მეურნეობის ფერმას 32 ტონა თივა შემატეს.

თეთრი წყაროს რაიონის პიონერებმა იციან, რომ მათ ტერიტორიაზე გაივლის ახალქალაქ-მარაბდის ახალი სარკინიგზო მაგისტრალი, რომლის ერთ-ერთი სადგური თეთრი წყაროში იქნება. ამიტომ მათ ოპერაცია „შავი საბადოს“ გეგმა-ვალდებულება თავიანთი სურვილით გაზარდეს, რათა მით მიერ შეგროვილი ჯართის საფასურად რკინიგზის მშენებლებს მიაწოდონ პიონერული რელსები. მარტო ასურეთის საშუალო სკოლის თითოეულმა მოსწავლემ 30 კილოგრამი ჯართი შეაგროვა, სულ





თავიანთი პიონერული ფერმა არა აქვთ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში აქტიურად არ მონაწილეობდნენ. პირიქით, ისინი ერთგვარ სინანულსაც კი გამოთქვამდნენ — იმ დროს მიდიან სკოლიდან, როცა მეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში უკვე დაპუტებული ჰყავთ ქათმები და იქაურობაც გაკრივებულია.

გამოცდილ მეფრინველეს ალექსანდრა მეტრეველს პიონერების ეს წუხილი ღიმილს გვრის. დეიდა საშა (ასე ეძახიან მას შინაურულად) ყოველთვის სიხარულით ეგებება ხოლმე ნორჩ მეფრინველეებს.

— ნუ დარდობთ, ფერმაში ყოველთვის მოიძებნება საქმე თქვენთვის, — ამშვიდებს პატარებს დეიდა საშა. — აბა, დაფიქრდით, იმ ასობით

კვერცხს, ეს თოვლივით თეთრი ქათმები რომ დებენ, აკრეფა და ყუთებში ჩალაგება არ უნდა? ან კიდევ, განა ქათმებს ერთი დაპუტება ეყოფათ?

ირმა ყრუაშვილს, გოჩა გიორგობიანსა და ნანა ფონჯავიძეს სხვა საქმეც აქვთ: ისინი სკოლის თემურელთა რაზმის წევრები არიან და ამ მოვალეობასაც პირნათლად ასრულებენ. იქვე, სკოლის მახლობლად მარტოხელა მოხუცი ქალი ოლია ლაიშვილი ცხოვრობს. მას ქმარი დიდ სამამულო ომში დაედუპა, დარღისაგან მოხუცი ქალი დასნეულდა, უმწეო გახდა. ჰოდა, თემურელი რა თემურელია, თუ გაჭირვებულს მხარში არ ამოუდგა! თითქმის ყოველ შესვენებაზე ხან ირმა, ხან გოჩა და ხან ნანა ჩაირბენენ ხოლმე ოლია ბებიასთან — რაიმე ხომ არ გინდაო. წყალს მიუტანენ, მაღაზიაში გაეგზავნიან, სახლ-კარს უსუფთავენ, ჭურჭელს ურეცხავენ, ქათმებს დაუპუტებენ და სხვა წვრილმან საქმეში ეხმარებიან.

თემურელებს სხვაცა ჰყავთ საზრუნავი — მარტოხელა ქალი კლავდია ჭელიძეც მათი საშეფოა. თემურელთა რაზმის ნაწილი კლავდია ბებიასთან დადის. ნიკო სულხანიშვილი, ხატია შარაბიძე, ზვიად ყრუაშვილი და თამილა ნებულიშვილი საქმეს ინაწილებენ და ისე სწრაფად აკეთებენ ყველაფერს, რომ კლავდია ბებია გაოცებული რჩება ხოლმე. წლევანდელ ზამთრის სუსხში კლავდია ბებიას სიცივე არ უგრძობია. გოჩა რატიანი და მალხაზ ბაბლიძე რეგულარულად უჩეხავდნენ მოხუცს შეშას და სახლში უზიდავდნენ.

ასურეთის სკოლის ინტერნაციო-

ნორჩი მეფრინველეები თოვლივით ქათმათა ქათმებს უზრადღაას არ აკლავან. ღიმილით უხსცაჰარის დეიდა საშა მათ და გულში სიხარული ეღვრება.

ნალური მეგობრობის კლუბს ათი წლის ისტორია აქვს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჯერ კიდევ 1972 წელს სკოლის ნორჩი მხარეთმცოდნეები მეგობრობის მატარებლით სამოგზაუროდ წავიდნენ. იყვნენ უკრაინაში, ეწვივნენ საბავშვო ურნალ „პიონერს“ და უკრაინელ თანატოლებს უურნალის ფურცლებით თავიანთი თავი გააცნეს, ესაუბრნენ შრომასა და სწავლაზე, პიონერულ საქმიანობაზე.

— გამომშვიდობებისას ჩვენი სკოლის ყოფილმა მხარეთმცოდნეებმა სთხოვეს რედაქციას, დაებეჭდა ჩვენი მისამართი და თუ უკრაინის რომელიმე სკოლა მოინდომებდა ჩვენთან დამეგობრებას, გამოეგზავნა ჩვენთვის წერილი, — თქვეს ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ახლანდელმა წევრებმა ირმა და მარინა კაციტაძეებმა.

საბჭოთა კავშირის შექმნის 50-ე წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით ასურეთის სკოლაში შეიდასამდე წერილი მოვიდა უკრაინის სხვადასხვა რაიონებიდან და სკოლებიდან. ერთი წერილი ვინიცის ოლქის მოგილიოვ-პოდოლსკის რაიონის სოფელ სოკოლიდან იყო გამოგზავნილი მე-7 კლასის სახელზე. გახარებულმა მეშვიდეკლასელებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს წერილს და თან ნუგბარი ხილითა და სამახსოვრო საჩუქრებით სავსე ამანათი გაუგზავნეს თავიანთ თანატოლებს. თავის მხრით, არც იქაური პიონერები დარჩნენ



უსსუკაპო კიბე

კარლო
კობერიძე

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

მ ო თ ხ რ ო ზ ა

მეგონა, მომეჩვენა-მეთქი, და ყურადღება არ მიმიქცევია. ისევ დამიძახა ვილაცამ. უყოყმანოდ დავბრუნდი უკან, რაკი ეს ხმა ნაცნობი იყო. მაგრამ, მართალი გითხრათ, ვერ გავიხსენე იმ ხმის პატრონი, თანაც საამისოდ აღარ დამცალდა — გზაზე ხელაწეული გამოვიდა მიტო შიოშვილი.

მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი.

— ასე დავიწყება შეიძლება? — მეუბნება მიტო, — ეს ერთი ხანია, ლამის სანთლით გეძებდი. მაქვთ სად მიდიხარ?

— შინისკენ.

— შარავზით არ ჯობდა?

— გაზაფხულია და აქვთ უკეთესია, ბუნებაში.

— ეგეც კია.

მიტოს პიონერთა ბანაკიდან ვიციან — სამჯერ ვიყავით ერთად. ჩემზე ერთი წლით უფროსია. ერთმანეთი გავიცანით და მაშინვე დაეძმავადით. ეს ალბათ იმის მიზეზი იყო, რომ იმხელა ბანაკში მარტო ჩვენ ორნი

გაგრძელება. იხ. პიონერი № 2, 3.

ვალში და ასე ჩაეყარა მეგობრობას საფუძველი უკრაინელ და ქართველ ბავშვებს შორის.

1973 წლის ზამთრის არდადეგები იდგა, როცა ასურეთის სკოლის პიონერებს მათივე მოწვევით სოკოლოვლი პიონერები ეწვივნენ. სავარაუდოდ მხიარულებაში დღე მალე მიიწურა. მასპინძლებმა სტუმრები დაინაწილეს და სახლებში წაიყვანეს, გოგონებმა — გოგონები, ბიჭებმა — ბიჭები და მასწავლებლებმა — მასწავლებლები. ამ ფაქტმა მათ მეგობრობაში კიდევ უფრო მეტი ლაზათი და ეშხი შეიტანა — ახლა ოჯახებიც დამეგობრდნენ. შეიქმნა ბრწყინვალე აზრი: ჩაპაევის სახელობის სკოლის და რუსთაველის სახელობის ასურეთის კოლმეურნეობებს შორის გაშლილიყო სოციალისტური შეჯიბრება.

სოფლის საბჭოს გადაწყვეტილებით ასურეთის ახალ ქუჩას, რომელსაც ჯერ სახელი არ ჰქონდა, ეწოდა სოკოლის ქუჩა. მას შემდეგ ათი წელი გავიდა და მეგობრები ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს. უკ-



რაინსაპოს დეპუტატი ანთონო ნეფარიძე სკოლის დამთავრების უამრავ მოვიდა ფარავი საშუალო ნენო ბაბლიძე და ხატია შარავაძე ურველნიკად ცდილობენ, მიგაიონ გაიციდნენ მათგან.

ვიყავით ამ ახლო-მახლო სოფლებიდან. რა დღესაც გავიცანი, იმ დღესვე ვაფრინე სოფელში წერილი, ესა და ეს ხილოვნელი ბიჭია აქა და ჩემი დარდი არ გექნეთ-მეთქი. სულ ერთი კვირის შემდეგ კი დედაჩემი და მიტოს დედა ერთად არ ჩამობრძანდნენ ბორჯომში?! (იმ წელს იქ ვიყავით ბანაკად). რაღა ბევრი გავაგრძელო, მე და მიტო მას აქეთა ვართ ძმავალები.

— შორიდან მოკითხვა საქმეს არ შველის, გადაკარგულში იყო სადმე, კიდევ ჰო, — მსაყვედურობს მიტო. ცირასთან იყავი?

— შინ არ იყო, ქალაქში წაპყლოია დედას.

— საერთოდ, ძალიან ეზარება გაკვეთილების გაცდენა და ამან გვაფიქრებინა, ალბათ ავად არისო. გაკვეთილების შემდეგ მთელი ჯგუფი ვაპირებდით სანახავად წასვლას.

შესვლის ზარი დაირკა.

— ამის შემდეგ ცირას რომ ნახავ, მეც მნახე, თორემ, იცოდე, გულიდან ამოვირეცხავ!.. გავიქეცი. გჭირდება-ოდე რამეში, სულაც არ შევიდოდი გაკვეთილზე. რას მბზარებ ცირასთან? მე და ის მერხზე ერთად ვზივართ.

— ხვალ-ზეგ გნახავს-თქო.

— დღეიდან ვიანგარიშოთ? — ელიმება.

— ჰო...

ყველაფრის ინტერესი ერთბაშად დავკარგე, ახლა მარტო ცირაზელა ვფიქრობდი და კიდევ ჩემს ოჯახზე: მამაჩემი რატომ არაფერს არ ამბობს თავის პირველ შვილზე? იქნებ დედაჩემის გაღიზიანებას ერიდება? იქნებ საერთოდ მალავს? მაგრამ ამის დამალვა ხომ თითქმის შეუძლებელია? ან რა არის დასამალი? რატომ თქვა მამაჩემმა, დედაშენის ნამალევად, რაც კანონით ეკუთვნის, იმაზე გაცილებით მეტს ვუზავნიო? რატომ უნდა უშლიდეს დედა? როგორ უნდა გავარკვიოთ, ადამიანს რა რამდენი ეკუთვნის?!

და რომ მყავდა, პირველად მამიდამ მითხრა. მაშინ პირველ კლასში ვიყავი. მამაჩემს ვკითხე, ხომ არ მატ-

რანელმა მეგობრებმა უკვე გაიცუნეს სურამი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პოეტი ქალი ლესია უკრაინკა, დაათვალიერეს გორი, ქალაქ-მუხეზში მცხეთა, თბილისი და, რასაკვირველია, შემოიარეს თეთრი წყაროს რაიონის ღირსშესანიშნაობანი.

არც სტუმართმოყვარე უკრაინელები დარჩნენ ვალში თავიანთ ქართველ მეგობრებს. ასურელებმა დაათვალიერეს ვინიცა, კივი და უკრაინის მეზობლად მდებარე მოლდავეთის ერთ-ერთი მოსახლერე რაიონი.

როგორც უკვე ითქვა, წელს ასურეთისა და სოკოლის დამეგობრების ათი წლისთავის იუბილეა. მეგობრები-ამ თარიღს ორჯერ აღნიშნავენ — ჯერ აქ, მაისში, ასურეთში, მერე, ოქტომბერში, იქ, სოკოლში.

ქართველმა და უკრაინელმა მეგობრებმა, როგორც დიდი შოთა იტყოდა, „გული მისცეს გულისათვის“...

ასე საინტერესოდ ცხოვრობენ, შრომობენ და სწავლობენ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის პიონერები.

ყუებს-მეთქი. მართალს ამბობსო. ახლა დედაჩემის დას-
ტური მინდოდა და მანაც თავი დამიქნია. მას აქეთ ყო-
ველთვის მახსოვს ჩემი და, ისიც ვიცოდი, ცირა რომ
ერქვა. დაპირებით ბევრჯერ დამპირდნენ, გაჩვენებთო,
ამ დაპირება-დაპირებაში აგერ შვიდი წელიც გავიდა.
ამბობენ, სიყვარული სიხალოვემ იცისო, მაშინ სიშორეს
ხომ დავიწყება, გულიდან ამოღება ეცოდინება? დავი-
წყებას რა უჭირს, გაცილებით უარესია, როცა შენიან-
ის არსებობაც კი არ გავიგია. თუ არ გააგებინეს, ბავშ-
ვმა რა უნდა იცოდეს. მე რომ ვიცოდი, ასეთ ცოდნას
ისევ უცოდინარობა სჯობდა...

მკერდი ამეწვა უცებ და თავიც ამტკივდა. მაშინ გა-
მახსენდა, მთელ დღეს რომ არაფერი მეჭამა. მინდორში
დაკლაკნილი ბილიიდან ორლობეში შევუხვებე. მაყვლის
სქელი ღუყი ვიპოვე, მოვწვივებ და გავფტკვენი. ისეთი
ნორჩი იყო, წვენი ჟონავდა. ვჭამდი და თან ისევ ბარ-
დებში ვაფათურებდი თვალებს. მაგრამ ასეთ კარგ ღუყს
ველარ წააწყდი — ჩემამდე სხვას გაველო და თამამე-
ბი მოვწვივებ კიდევაც... ჩემი სამყოფი მაინც დავკრიფე.
მერე ლიჭის ნაკაფი გადამიღვა წინ — ნეშოსფერი
ყლორტით იყო სავსე... მალე მკერდის წვაამც გამიარა
და თავის ტკივილმაც.

მინდორში გადაველ, მზის გულზე გავიშლართე და
ცას ავხედე.

7

შინ რომ დავბრუნდი, შუადღე დიდი ხნის გადასული
იყო. დედაჩემს პურიც გამოეცხო და სარეცხიც გაეფინა.
მამაჩემს თუთის ქვეშ გაეჩერებინა „ჭიგული“, კაპოტი
აეხადა და რალაცას უჩხიკინებდა. როგორც კი დამინახა,
მაშინვე დახურა კაპოტი, საჩხეში შევიდა, ონკანი მოუ-
შვა, საპონი აიღო და ხელეების ბანას შეუღდა. საგულდ-
აგულოდ იბანდა — სამჯერ წაისვა საპონი და დიდხანს
დიდხანს აჭაფებდა. გვიან მივხვდი: ფიქრში იყო წასუ-
ლი და დროის შეგრძნება დაკარგა.

მარნიდან დედაჩემი გამოვიდა და მშვიდად მითხრა:

— არ მოგშოვდა, შვილო?

— არც ისე.

— მალაზიაში მივდივარ და თქვენ მიხედეთ თქვენს
თავს.

— რა უნდა იყილო?

— ჭიქები მოუტანია ცუცუნას, აქებენ — კარგიაო,

— კაბის საყულო გაისწორა და ეზოდან გავიდა.

მამამ პირსახოცი ვადამივლო მხარზე:

— დროით დაიბანე, — და მარანში შევიდა.

ხელეები დავიბანე და მეც მარანში შევედი. მამაჩემი
მაგიდას უჯდა, ქათმის ფრთას წიწკნიდა. წითელი ღვინო
დაისხა ჭიქაში და მომაჩერდა:

— ნახე?

— შინ არ იყო.

— სად არისო?

— ქალაქში ვაპყოლია დედას, ვაპყოლია თუ წაუყ-
ვანია... აქამდე უნდა შენახა, მაგრამ... რაც იყო, იყო,
— შოთის წვერი წავიტებე და დაველოდე, რას მეტყო-
და.

ხმა არ ამოუღია. მეორედ შეავსო ჭიქა.

— მთლად დაბერებული სახლი უდგათ.

— დაბერდებოდა.

— ისე მომეჩვენა, თითქოს ტიროდა სახლი.

— დღეს პირველად ნახე, ხომ?

— პირველად.

— გუშინწინაც იქ ვიყავი, ოღონდ შებინდებისას და,
მართალი გითხრა, ტირილისა ვერ შევამჩნიე ვერაფერი,
რალა თქმა უნდა, სიბნელემ არ მიმიშვა იქამდე.



— ვითომ? — გამელიძა.

— ტყუილი არასოდეს არ მითქვამს და არც ახლა
ვიკადრებ, — დასალებად აწეული ჭიქა ისევ მაგიდაზე
დადგა. — აღი მალა და ყავისფერი პიჯაკი ჩამომიტა-
ნე, ჩემს საწოლთან არის სკამზე გადაკიდებული.

ჩამოვუტანე პიჯაკი. შიგა ჯიბიდან გაბერილი კონვ-
ერტი ამოიღო, უხმოდ მომაწოდა.

— რა არის? — დავაჩერდი.

— გახსენი და გეტყვის.. თუმცა, მომეცი აქ.

რამდენიმე სურათიდან ერთი ამოარჩია და წინ და-
მიღო.

დავხედე და კინალამ თვალები გადმომცვივდა, — ეს
ის გოგო იყო, გუშინ და დღეს ორჯერ რომ ვნახე, სწო-
რედ ის, მამიდაჩემს რომ ჰვავს საოცრად! სურათის მე-
ორე გვერდზე ლამაზი, გაკრული ხელით ეწერა: „ჩემს
სიყვარულ მამიკოს. ცირა. 18. 4. 81 წელი. ს. ხილოვანი“.
ისევ სურათს დავაშტერდი: ტყრუშულ ლობეს მკლავებით
დაყრდნობია ცირა და იცინის.

— ახლა რაოს! იტყვი? — შემეკითხა მამაჩემი.

— სათქმელზე მეტი რა მაქვს!.. დანარჩენიც მაჩვენე.

— ესეც ცირას სურათებია, სურათები და წერილე-
ბი. ზოგი ძველია, ზოგიც უფრო ახალი. შენ კი, გეგო-
ნება; რაკი უთქმელი ვარ, გულიც აღარა მაქვს კაცისა.
ხედავ და იცი: წიგნი მიყვარდა და მიყვარს. მინდოდა
მეც მესწავლა, მაგრამ პაპაშენმა არ მომცა უფლება —
შენი უმაღლესი ცხვარი და ვენახიაო. ქალის მოვალეობა
კიდევ — დაოჯახებაო. დედა აღარ მყავდა და ვინ გა-
მომესარჩლებოდა! უმაღლესს ვინ არ ამთავრებს, მაგ-
რამ რაიმე ხელობა ხეირიანად აღარავინ იცისო, ადგა
და სადურგლოზე შემეყვანა, ვითომ, საშუალო სკოლა

რომ არ დამემთავრებინა, ისე არ მიმიღებდნენ. დავამთავრე ტექნიკური სასწავლებელი და სად აღარ ვიმუშავე. მამაჩემს გავუბრაზდი, მინდოდა, ჩემით მომექონებინა მოსაქონიებელი, მთავარი კი დავკარგე — დაოჯახება დავაგვიანე. — წამოდგა, ხელი ჩაიჭნია. — წარსული წარსულია, აღარც გახსენებად ღირს და აღარც დარდის ასაშლელად.

— მე რაღა დავაშავე?

— შენ ვინ რას გედავება?!

— იქით გედავებით მე და ცირა!

— აქამდე ვერ შეგახვედრებდით ერთმანეთს. ჯერ ერთი, პატარები იყავით, ცალ-ცალკე იზრდებოდით და ვერც და-ძმობისას გაიგებდით რამეს; მეორეც, — ჩაფიქრდა, — სწორედ ახლაა თქვენი შეხვედრის დრო... რა ვიცოდი, სოფელში თუ ჩამოსახლდებოდნენ, თორემ ადრეც შეიძლებოდა შეხვედრა. პირადად გცნობებოდა შარშან, ვინ დაგიდგებოდა თავდებად, თვეში სამჯერ არ გაიპარებოდი თბილისში მის სანახავად.

— გავიპარებოდი, აბა რას ვიზამდი!

— მაშინ, კარგი მამა გყოლივარ და რაღას მემდურ?

— ღიმილით აიღო ჭიქა, — ამით ჩემს მოსიყვარულე შვილებს გაუმარჯოს.

— წერილებს მაინც გავუგზავნიდით ერთმანეთს.

— წერილებით დაახლოება მარტო წიგნებშია, წიგნებსა და კინოებში, — ცირას სურათი გამომართვა, კონვერტში ჩადო და მომაწოდა. — მაშინ დაათვალიერე და წაიკითხე, როცა მარტო იქნები. დედაშენმა არ ნახოს, არაფერს არ იტყვის, მაგრამ არც გაუხარდება. გაიგე, რაც ვითხარა?

— გავიგე.

— ყოჩაღ!.. ორი დღეა, გაკვეთილებს აცდენ. წადი, იკითხე, სახვალიოდ რა გაქვთ, ჩაუჯექი და ისწავლე. შენი პროფესორობა არ მინდა, მაგრამ იმდენი მაინც უნდა იცოდე, შეგეძლოს მიხვდე, როდის დუმილია საჭირო, როდის ყვირილი. ისე, იცოდე, შენი და ხუთოსანია.

დაბინდებამდე თავი არ ამილია წიგნებიდან — ვმეცადინებოდი და ვმეცადინებოდი! სამი სამიანი გამომაყოლა ჩემმა სიზარმაცემ და მისთვის რომ არ მომელო ბოლო, რაღა კაცი ვიყავი! მარტო გაკვეთილებისაკენ მქონდა გულსისყური. ასე რომ, ცირაზე აღარ ვფიქრობდი. ხვალ უნდა შევხვედროდი, მორჩა და გათავდა. პოდა, აღარც ფიქრით თავის ატკივება ღირდა.

დაბინდებისას! პაპამ ცხვრები მორეკა. ყოველთვის ვეხმარებოდი და ახლაც მოვეხმარე დაბინავებაში.

— ისევ ფურს ხომ არ დარდობ, შვილო? — მკითხა პაპამ.

— არა, მაგრამ თვალს კი აკლია.

— უკეთესი რომ მოვიყვანო, რას იტყვი?

— მაღლობას.

— როგორი პაპა გეყოლება, ჰა? — უღვაშებში ჩაეღიმა.

— ბაჯალლო ოქროსი!

— ადამიანებზე ვერ დავიტრაბახებ და საქონლის ცნობა კი ნამდვილად ვიცი. ერთი თვე მაცალე, შენ მარტო ერთი თვე მაცალე და ფურს მოვიყვან, ფურსა, რომ მნახველები მოდიოდნენ!..

იმ დამეს უსიზმროდ მეძინა...

8

მეორე დღეს, მეოთხე გაკვეთილი რომ დამთავრდა (მეხუთე გავიცდა), ავიღე ჩანთა, ეზოში გამოვედი და გავჩერდი: ვერ გადამიწყვეტია, მანანა აბაიშვილს გავატანო თუ ჩანთიანად წავიდე ხილოვანში?



მანანა აბაიშვილი ჩემი კარის მეზობელია და იმიტომ ამოვარჩიე. ახლა იღო აბაზაძეს რაღაცას ელაპარაკებოდა გაცხარებით.

— მანანა! — დავუძახე.
— საქმე გაქვს? — შეკითხება იყო.
— აბა ისე მაგის ჯაჯანს ჩემმა მტერმა უსმინა.
— არც მე მეხალისება, მაგრამ ეტყობა, მეც საქმე მაქვს.

— აქამდე ვეღარ აუხსენი სიყვარული?
— ამისთვის გემეტები, შე ოხერო? — გაჯავრდა მანანა და ჩანთა მომიჭინა.

ძლივს ავიციდინე.
— ბიჭოს, ახლა არ შევამჩნიე, რა ლამაზი ვინმე ყოფილა? — ვითომ გაიოცა ილომ.

— ისე დაამშვენებდა თქვენს ოჯახს, აი, ყვავილი რომ ამოდის ხოლმე სანაგვეზე.

— ადრე და მალე დაეწიე შენს ფოთოლას! — დედ-აკაცივით მომაწყველა ილომ.

— ჩანთა უნდა გამატანო შინ, არა? — ხმადაბლა მი-თხრა მანანამ.

— კი, სხვაგან მივდივარ.
— სხვაგან კი არა, ხილოვანში, დას უნდა შეხვდე.

ამაზე უარესად სხვა რაღა გამოაცხებდა, არ ვიცი.
— კედლისთვისაც არ მითქვამს, შენ საიდან გაივსე?

— გუშინ გაკვეთილი რომ გააცდინე და საბუთი არ მოგთხოვეს, რა გგონია, გულმავიწყობის მიზეზი იყო?

— სოფელში არაფერი დაიმალე, მართალი უთქვამთ... აჰა, წაიღე ჩანთა და თქვენსა შეინახე.

— როგორ მიხდა, მეც ვიცნობდე!
— გაგაცნობ, სხვებსაც გაგაცნობ... შეიძლება დავი-გვიანო და, მამაჩემმა თუ მიკითხოს, სიმართლე უთხარი; დედაჩემს — დაუმალე, რაღაცის მომიხეზებას მოახერხებ რამენაირად.

— მოდი, რა, მეც წამოვალ!
— ჯერ მეც არ დავლაპარაკებდით და, რა ვიცი, იქით არ ჩავარდეს უხერხულობაში.

— მართალი ხარ, ოღონდ, იქიდან რომ დაბრუნდები, ჯერ ჩვენსა მოდი.

მზეს ავხედე და სოფლის თავისკენ მიმავალ გზაზე გავედი...

ხილოვანის სკოლის ეზო ისევ ცარიელი დამხვდა, მხოლოდ ღია ფანჯრებიდან მოისმოდა მასწავლებლის საუბარი თუ მოსწავლეთა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა.

თელის ქვეშ გრძელი, მწვანეღმუღელი სკამი რომ იდგა, იმ სკამზე დავჯექი და მეორე სართულის ღია ფანჯრებს გავაყოლე თვალი. ერთ ფანჯარაში დავინახე: გოგო შეტრიალდა, საკლასო ოთახის სიღრმეში დაიკარგა და მიტოვებული ღიმილსაც წავაწყდი. ხელი ასწია, მანიშნა, როგორ ხარო. ხან ასე, ხან ისე-მეთქი, აქეთ-იქით გადავაქნიე თავი.

მარცხნიდან სამი ღია ფანჯარა, ეტყობოდა, მიტოს საკლასო ოთახისა იყო; სამივე ფანჯარას მოაწყდნენ მოსწავლეები და ისეთი ინტერესით დაიწყეს ყურება, თითქოს ჩვეულებრივი ბიჭი კი არ ვიყავი, ჰიპოპოტამი შემოგვდოთ ეზოში.

მიტო ფანჯარაზე გადმოეყუდა და კიბისკენ გაიქნია ხელი:

— მე ნუკი მიყურებ, აქეთ გაიხედე, ვანო.

გავიხედე: კიბეზე ჩემი და ჩამორბოდა.

წამოვხტი — ჩრდილიდან გავვარდი — მზის გულზე შევხვდით ერთმანეთს.

თან მკოცნის ცირა, თან ტირის. მეც ვკოცნი, მაგრამ კი არ ვტირი, მეღიმება.

თვალეებზე მაჯა გაისვა, მკლავზე ხელი წამავლო და სკამისკენ წამიყვანა:

— დავილაღე შენი ლოდინით.

უნებურად გავიხედე: ფანჯარაზე ხნიერი, ჭაღარა ქა-

ლი გადმომდგარიყო — ალბათ ცირას მასწავლებელი, და ცხვირსახოცი იმშრალედა ცრემლს. ცირას ჯგუფე-ლები ფანჯრებს მოაწყდნენ. უცებ ერთმა გოგომ ტაში დასცხო. სხვებიც აჰყვნენ. ჭაღარა მასწავლებელმა თავი აიღო, შეტრიალდა და მოსწავლეებიც მოსცილდნენ ფანჯარას.

სკამზე დაჯდომას ვაპირებდი, ცირამ არ დამანება...

— გავიართო სითმე... იცი, სულ შენ გნახულობდი სიზმარში და დაძინებაც ამიტომ მიხაროდა... ზუსტად ასეთსა გხედავდი, როგორცა ხარ, როგორსაც გიყურებ,

— თავზე გადამისვა ხელი.

— მკოდნოდა, სექტემბრიდან აქ იყავი...
— რომ არ იცოდი, წერილიც იმიტომ გამოგიგზავნიე... მეგონა, მამა გეტყოდა. ამ ლოდინში კი თითქმის ხუთი თვე გამეპარა.

— რა ვიცი, რატომ არ მითხრა. იქნებ სწორედ ასე გაცნობას, ასე შეხვედრას ელოდა?

— შეიძლება... გუშინ, ავტობუსიდან რომ ჩამოვედი, პირველი ვინც მომხვდა თვალში, შენ იყავი. იქნებ არც დამიჯერო და, გიცანი... თანაც ეჭვმა გამკრა, ვაითუ ის არ იყოს და სხვანაირად გამიგოს-მეთქი, თორემ დეიდას რას ვაყვებოდი.

— მე კი გუშინწინაც გნახე ავტობუსში... მამიდაჩემსა გავხარ.

მხარზე ხელი გადამხვია:

— მოდი, ჩვენსა წავიდეთ.

არ მინდოდა წასვლა, მაგრამ უარი ვერ გავუბ-ედე.

— ვიცი, ჩემზე ერთი წლით უმცროსი ხარ... პატარაობისას და შემდეგაც თბილისში, ბიჭები რომ გამაბრა-ზებდნენ, შენს თავს ვამუქებდი: — „ჯერ ვუთხრა ჩემს ძმას“. ასე მუქარა-მუქარაში გადიოდა წლები. ერთხელაც შელოდნენ და მითხრეს, ბოლოს და ბოლოს როდემ-დე დავამუქრებ შენს მოგონილ ძმასაო. იმ დღეს ვიტყ-ვირე, ვიტყვი, მთლად გამიშრა ცრემლი.

— ახლა ნამდვილი ვარ და ნუ გეშინიან, — სიცილით ვუთხარი.

— უფროსი მე ვარ და ჩემი იმედი უფრო უნდა გქო-ნდეს, — მასაც გაეცინა. — ხომ კარგად სწავლობ? — მკითხა მოულოდნელად.

— არც ისე.

— მაინც?

— სამი სამიანი გამომყვა, დანარჩენი ზემოთებია.

შუბლი შეიკუმუნა, ამით ხაზი გაუსვა, შენზე უფრო-სი ვარო.

— რაში და რაში?

— ფიზიკა, ალგებრა, გეომეტრია. არ მიყვარს ეს სა-გნები და ვერც ხეირიანად ვსწავლობ.

— როგორა გგონია, ადამიანები რასაც აკეთებენ, ყველაფერი ეხალისებათ?.. შეიძლება გული არ მიუღი-ოდეს საქმეზე, მაგრამ უნდა გააკეთოს მაინც — ცხოვრე-ბა ასე მოითხოვს... ერთხანს, ალბათ, გაგიჭირდა სწავლა და ამან შეგაძულა ეს საგნები. მე გამეცადინებ და ნა-ხავ, რა საინტერესოა ფიზიკაც, გეომეტრიაც, ალგე-ბრაც. შენ იცი, რომ ალგებრას პოეზიას ადარებენ?

— მე ის ვიცი, რომ ხუთოსანი ხარ, მამამ მითხრა.

— მერე, გეწყინა?

— რას ამბობ?!
— ჰოო, მე კი გული დამწყვიტე... გამოუსწორებე-ლი არაფერია...

მკოდნებოდა, ჩემი სამიანები დაალონებდა, თავს არ დავაკლავდი?

ლობებზე გადმომდგარ ალუბალს ყვავილიანი ტოტი მოატეხა.

— ძალიან კარგია სოფელი, ყოველთვის კარგია, მაგრამ გაზაფხულზე მთლად უკეთესია!.. შეხედე, რა ლამაზად ყვავის ხეხილი! ამ დროს ჰიანჭველას ფეხი რომ დაადგა, ადამიანი აღარა ხარ! ვითომ ბალახზე სიხარული არ იცის?.. რას იტყვი, ვანო?

— ამაზე არ დაფიქრებულვარ.

— დააკვირდი: ნიაგი არ დაჩუქუნებს არსად, ხომ ასეა?

— მერე?

— მერე, აი, — ლობის ძირში დაიხარა, — ეს აყელყელავებული ბალახი კი მაინც ირხევა... ბალახი კიდევ ამ რხევით გამოხატავს სიხარულს. შერევილი არ გეგონო, — გაეცინა. — სოფლის ყველაზე კარგი დრო გაზაფხულია, როცა ამწვანებულ-ყვავებულაა მიდამო...

ერთ ეზოში ორი ბუთხუზა ლეკვი მთელი მონღომებით დასდევდა კნუტს. კნუტი ხან ერთს, ხან მეორეს მკვირცხლად მოხატებოდა ხოლმე და ასევე მკვირცხლად გარბოდა... ერთ ეზოში კიდევ წიწილები და იხვის ჭუჭულები არეულიყვნენ ერთმანეთში. მშვენიერი საყურებელი იყო მწვანე, ხასხასა ბალახში ფერადი ჭუჭულები და წიწილა.

ცირამ თვალი მოარიდა ამ მშვენიერ ეზოს და ნაღვლიანად მიიხრა:

— სულ სოფელი მენატრებოდა. უფრო იმიტომ, რომ მამაც აქ მეგულებოდა, შენც აქ მეგულებოდი და ავადმყოფი ბებიაც! იცი, რა კარგი ბებია მყავს! აი, მივალთ შინ და გავაცნობ.

9

გავიცანი: ნათელ, მომცრო ოთახში, ღია ფანჯარასთან იწვა ძველებურ ტახტზე. შალის მსხვილი ძაფით რაღაცას ქსოვდა, უფრო სახელოს ჰგავდა. ჩვენი ნაბიჯის ხმაზე ქსოვა შეაჩერა და სათვალის ზემოდან გამოიხედა.

— აბა, ნუშო ბებია, თუ გამოიცნობ, ვინ მოვიყვანე? ძაფის გორგალი დაუმთავრებელ სახელოში ჩადო, ფანჯრის რაფაზე შემოდო და, თითქოს მანძილს ამოკლებსო, ჩემკენ გადმოსწია თავი:

— მოდი აქა, შვილო.

გაუბედავი ნაბიჯი გადავდგი და გავჩერდი.

— მოდი, ნუ გეშინიან.

თავზე დავადექი. მან ღიმილით ამომხედა ქვემოდან:

— დაიხარე, უნდა გაკოცო.

მაკოცა, მერე ცირას ხელი დაუქნია:

— რა მკითხე წელან?

— თუ გამოიცნობ, ვინ მოვიყვანე-მეთქი.

— ვანო, არა, შვილო? — რაღაც საწყლად შემომოღიმა.

— დიახ.

— იცოცხლე და გაიხარე, შვილო!.. როგორ არიან თქვენები?

— რა უჭირთ.

— დავიბერდებოდა ვანო პაპა!

— ეს ხუთი წელია, დაპატარავდა, ჯანს კი მაინც-დამაინც არ უჩივის!

— რომც უჩიოდეს, აღარ ედროვება? ზოგმა, შვილო, ოთხმოცამდე დათვალაც არ იცის.

— ოთხმოცდახუთისაა.

— გიშველა ღმერთმა! — ხან მე შემომხედავს, ხან ცირას. — ორივენი მაქასა გავხარტო... რას იზამთ, შვილო, ცხოვრება ისეთი უკუღმართია, თქვენ რა გიჭირთ — დავინდოთ, ბევრს ასჯერ უარესს დამართებს ხოლმე. გიორგის გადაეცი: მე რაღა დავიშავე, რატომ არ მნახ-

ულობ-თქო? — მამაჩემზე მიიხრა. — იქით მარტო შენა ყევხარ, შვილო?

— მარტო მე.

— ამაში კი გაწყრომია ღმერთი!

— დღეს მეორედ დალიე წამალი? — ჰკითხა ცირამ.

— დედაშენი არ მოსულა შესვენებაზე, სხვა ვინ და მალევიანება?

ცირამ ჭურჭლის კარადიდან ყავისფერი შუშა გამოიღო.

— ათი წვეთი, არა? — შუშაბანდისაკენ წავიდა.

— თორემეტყც შეიძლებაო... ერთმანეთი არ უნდა დაკარგოთ, შვილო! ერთად რომ იქნებით, ცხოვრებაც არ გაგიჭირდებათ, გაგიჭირდებათ და ერთად ყოფნა აღ-



ვილად გადაგატანინებთ. წიგნის სწავლას ბევრი არაფერი უნდა, ცხოვრების სწავლაა ძნელი.

ცირამ წამალი შემოიტანა ჭიქით, თავი აუწია ბებიას და დაალევინა.

— ახლა კაკა დააყოლე, — ქალღმერთოვითი კანფეტები მიაწოდა.

იმანაც ღიმილით გამოართვა:

— შენ გაიხარე, შვილო, შენი ძმისა და დედ-მამის კარგად ყოფნით.

ოთახში ქალი შემოვიდა აჩქარებული ნაბიჯით. ლამაზი ქალი იყო, მორჩილი ტანისა. ავადმყოფს გაუღიმა და მე რომ შემომხედა, თითქოს შეცბუნდა, წარბები დაუშვა.

— ეს ვანოა, დედა! — სიხარულით უთხრა ცირამ.

— ეტყობა. — ისევ გაიღიმა ქალმა და ხელი გამომიწოდა. — კეთილი იყოს შენი ფეხი ამ ოჯახში.

— ამინ, გისმინოს ღმერთმა, — თქვა ბებია.

— სტუმარს სკამი მიართვი, — ცირას უთხრა დედამ.
— ვანო სტუმარი არ არის, — და მაინც მომიტანა სკამი, — დაჯექი.

ცირას დედა მეორე ოთახში გავიდა.
უხერხულად ვიჩქეი სკამზე, სირცხვილი თუ მორი-
დება აქეთ-იქით არ მახედებდა.
ნუშო ბებია ამოიხრბა.

— ეს თორმეტი წელია, შვილო, საამქვეყნოდ ძალ-
იან ადრე გავიშობტე. ჩემს წამოდგომას თუ დაელოდეთ,
სულ ამ ოთახში ყოფნა მოგიწევთ... ეზოში გადით, შვი-
ლო, გაიარ-გამოიარეთ.

— წამო, ვანო! — და კარისკენ ჯერ თვითონ წავიდა ცირა.

— კიბეზე ფრთხილად ჩადით, შვილო.
ვითომ არ შემომჩნევი, გულის კანკალით კი ამოვი-
არე კიბე. ახლა ჩასვლის წინ რომ დავხედე, უარესად შე-
ვშინდი: ისე იყო მოფამფალეზულ-მორყეული, რამდენი
აივლ-ჩაივლიდი, იმდენი იმედი უნდა გქონოდა კისრის
მოტეხისა. შეკეთება მოეწადინებინათ, ერთი ფიცარიც კი
ალარ გამოდგებოდა.

ცირამ ბოლო საფეხური გამოტოვა, ჩახტა ეზოში
და ამოხედა:

— რას უყურებ?
— კიბეს.
— ბიძაჩემმა, შოთამ თქვა, მოვიცილი და მივხედავო,
მაგრამ ამდენი ხანია, ვეღარ მოიცალა... არ აჩქარდე.
ფრთხილად ჩავედი.

ეზო კარგად იყო მოვლილი, ხეხილს უფრო ყვავილი
ქარბობდა.

ცირამ აყვავებულ, მოზარდ მსხალს ახედა:

— ეს მსხალი მამაჩემის დარგულია, სამი წელია, ნა-
ყოფი გამოილო. ისხამს, ისხამს, ბოძკინტები არ შევუ-
დგათ, ტოტები ჩამოელეწება.

— კარგი ხელი აქვს მამაჩემს... დედაშენი სად მუ-
შაობს?

— აქვე, პოლიკლინიკაში, ექთანია.

— ცოდვია ნუშო ბებია, მთელი თორმეტი წელი ასე,
გულადმა რომ წევს. რაო, ექიმებმა, ვერ ადგებო?

— ადგომით ვერ ადგება, მაგრამ გული მაგარი აქვს
და დიდხანს იცოცხლებსო... შარშან გაზაფხულზე დედამ
თქვა, ბებია აქ ჩამოვიყვანოთო, თბილისში. რაღა ის ჩა-
მოვიყვანოთ აქ და შევაწუხოთ, არ აჯობებს, ჩვენ წავი-
დეთ-მეთქი. მთელი ზაფხული იყოყმანა — ძლივს დავ-
იყოლიე... რაც ჩამოვსახლდით, მას აქეთ, რა შედარე-
ბაა, გაცილებით უკეთ არის... სკოლის დირექტორიც სი-
ხარულით შემხვდა, შენისთანა მოსწავლეები ასი მოვი-
დეს, ასივეს მივიღებო... ხანდახან მესიზმრება, ვითომ
თბილისში ვარ ისევ და ვჯავრობ, აქამდე რამ გამაჩერა-
მეთქი!... რაკი ბებიას ვჭირდები, მაშინ ჩემი აქ ყოფნაც
აუცილებელი ყოფილა... რძალ-შვილი მთელი წვალეებით
აქცევდა ყურადღებას, უფრო მეზობლები მიხედავდნენ
ხოლომე სამადლოდ. რა სჭირდა სამადლი!.. ლეკვს ვერ
მიშოვი?

— თუ გინდა, ცხრას მოგიყვან ერთად.

— ერთი მომიყვანე. კატა გვყავს, მამალაც, ძალიც
რომ გვეყოლება, ნამდვილი ოჯახი გვექნება, სოფლური
ოჯახი.

ეზოში მამუკა შემოვიდა, ილიაში წიგნები ჰქონდა
ამოჩრილი.

— ხომ გითხარი, მოვა-მეთქი! — გაუღიმა ცირას.

— მერე, არ დაგიჯერე?

— ჰოდა, სამახარობლოც მეკუთვნის... სამეცადი-
ნოდ მოვედი.

— ცოტა ადრე არ არის?

— შინა ხარ და რაღა ადრეა!... ცირას ძმას გაუმარ-
ჯოს! — მხედრულად მომესალმა.

— ვანო, ჩემო ბატონო, — ხელი გაუწოდე.

— როგორ მიხარია! — ადგილზე დაბზრიალდა მამ-
უკა.

— რა გინარია, ბიჭო? — გაუკვირდა ცირას.

— მოვა ზამთარი და თქვენი შეშის დაჭრაში შემეშ-
ველება ვანო.

— ნუ გეშინია, — ვანუგეშე, — დაჭრილი უნდა მო-
ვიტანო.

— ეს კი არ მომეწონა! — ვითომ ძალიან შეწუხდა,
— მაშინ აღარ მამეცადინებს რუსულსა და გერმანულ-
ში: შენ რომ ჩემთვის შეშა არ დაგიჭრიაო?

— ჩემი ხატრით ყველაფერი მოგვარდება.
ნამდვილად კი ჯერ სხვა იყო მოსაგვარებელი. ერთი
სული მქონდა, როდის ვეტყოდი მამას, საქმეს როდის
მოებმებოდა თავი. ამიტომაც ავჩქარდი:

— წავალ ახლა შინ.

— ჯერ ადრეა, რა გეჩქარება?!
— არ მეჩქარებოდეს, არც გავიწვედი.

— ვისადილოთ და მერე წადი.

— არა მშია... ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთ-
ხელ მაინც გნახავ. იქნებ ისე მოგებზრდე, მამუკა დამა-
ხვედრო გზაზე — ცირა შინ არ არისო.

— რას ამბობ? ნეტა სულ ერთად ვიყოთ ან აქ, ან
თქვენსა!.. ხვალ ნამდვილად მნახავ? იქნებ ისეთი საქმე
გამოგიჩნდეს, ვერ მნახო?

— მე რომ ვიტყვი, მორჩა!.. კარგად იყავი...
ჭიშკარი გავადე.

— მოიცა! — გამოიქცა, პერანგის საყელო გამისწო-
რა, თავზე ხელი გადამისვა და შუბლზე მაკოცა.

კიბისთავზე იდგა დედამისი და ნაღვლიანად გვიყუ-
რებდა.

ყოველდღე გელოდიო, როგორ მენატრებოდა შენი
ნახვაო, მიტო შიოშვილს კი ეუბნებოდა, ხშირად მნახუ-
ლობსო. არ მიცნობდა და მაინც მიფრთხილდებოდა...

10

მამაჩემმა იცოდა, იმ დღეს აუცილებლად რომ უნდა
მენახა ცირა, ამიტომ სამუშაოდ არ წასულა — შინ გა-
მოძებნა საჩხირკედელაო საქმე — თოხის ტარს ასუფთავე-
ბდა ჰოპოსნით. ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი —
ასე და ასე შემხვდა და შემხვდნენ-მეთქი. ესამოვნა,
ლიმილით მომჩერებოდა. ბოლოს უმთავრესი მოვახსენე:

— კიბე აქვთ ისეთი, ნუშო ბებია ვერ დადის და გა-
დაჩენილია, ოლონდ, აი, ცირა ან დედამისი კი განწი-
რული არიან ნაღვად: ხილოვნიდან ყოველ წუთს უნდა
ელოდო შენი თავის მოსაჭრელ ამბავს, კიბე ჩამოენგრა-
თო. შემრცხვა, შემრცხვა!.. ღურგალი მაინც არ იყო!

— რას მირჩევ? — რატომღაც გვერდზე მიაბრუნა
თავი.

— სასწრაფოდ უნდა გამოცვალო.

— მე უნდა გამოცვალო?! — გაოცდა.

— აბა, მე რა ვიცი ღურგლობისა!

თოხის ტარს ღონივრად გაუსვა ჰოპოსანი და მერე
ორივე მიწაზე დაყარა.


— კარგად აკვირდები, რასაც ამბობ?

— შენ გერიდება და სხვა გაგზავნე, ღურგლების
მეტს ვის იცნობ?

— ეს უკვე სიჭკვიანის ნიშანია! — გაიღიმა. — ასე
გეთქვა წელანვე... ბარემ ახლავე მითხარი, რა გამოდგე-
ბა იმ კიბისა.

— არაფერი... ერთი ეგ არის, ლუმელს შეუკეთებს კაცი... ძველი მარანი რომ დაეშალოთ, იმის მუხის კოჭები ხომ გეაქვს? ფიცარიც გვეშოვება... დედაჩემი სად არის?

— ვენახშია. მოიცა, ისევ უსახურავოა კიბე?



— სახურავი ჰქონოდა, რა დააღობოდა?

— წადი, ადამა ძიას დაუძახე.

სიხარულით გავვარდი ეზოდან. ადამა ძია და მამაჩემი ბავშვობის მეგობრები არიან, ყოველთვის ერთად მუშაობენ საღურგლო საქმეზე. რომ მითხრა, ადამას დაუძახე, მაშინვე მივხვდი, იმას დაავალბდა კიბის გაახლებას.

ილო აბაზაძე შემხვდა მალაზიასთან, საით აჩქარებულხარო. დატრიალდი, გია დათიაშვილი მოძებნი და ორივენი ჩვენსა გადმოდი-მეთქი, ისე ვუთხარი, ნაბიჯი არ შემინელებია.

ადამა ძია თავისი ეზოს გამოსასვლელთან დამხვდა.

— რაო? — ღიმილით შემეგება.

— მამაჩემმა — ახლავე წამოდით.

— წავიდეთ... გინდა თქვენსა წავიდეთ, გინდა ბარემ ხილოვანში გადავიდეთ?... როგორ შეგხვდა დაიკო?

— როგორც ძმას ეკადრება, ისე.

— ძმას გააჩნია.

— ძმასაც გააჩნია და დასაც...

მამაჩემს შორიდან არ დაუწყია, მოკლედ მოსჭრა:

— ხვალ და ხვალზევით ჩემი მუშა ხარ, ადამ — კიბე უნდა დააყენო ხილოვანში. მე მიმესვლეინებოდეს, შენ რალაზე შეგაწუხებდი? გადაუდებელი საქმე თუ გაქვს რამე, იმაზე მე მიმიშვი... ბიჭმა ისე დაანგრია იქაური კიბე, დარდი აღარ დამაძინებს ამაღამ.

— ეგრე თუა, ღღესვე დავიწყებ — ორიოდ საათით მაინც წინ წავაგდებ საქმეს.

— შენი ჭირიმე, ადამ!

— არა გრცხვინია, კაცო?! — ხელები გაშალა ადამამ. — კარგად დამაკვირდი, ვინმეში ხომ არ გეშლები?... თვითონა აქეთ ხემასალა?

— აქედან წაიღებთ... მუხის კოჭებს გაგატანთ; ძველია, მაგრამ მუხა ძველი სჯობია. საფეხურებად კიდეც ფიჭვის ფიცარი გამოვიყენოთ... მართალია, ფიჭვის ფიცარი მალე ლბება, თუმცა ამისი წამალიც იშოვება — შიფერით გადავხურავთ... შუადღის შემდეგ ვანო მოგეხმარება ხოლმე.

ილო აბაზაძე მოვიდა, გამარჯობათო, და მერე მითხრა:

— გიამ, ნახევარ საათში მოვალო. მამამისს ნარიცი მოუტანია მანქანით და გადმოცლაში ეხმარება.

— რომელ გიაზე ამბობ, ნიკას გიაზე? — ჰკითხა მამაჩემმა.

— ნიკასი.

— გაიქეცი, ილო, არსად გავასწროს ნიკამ, შენი მანქანით გადმოდი-თქო, — უთხრა მამაჩემმა და ნამშრალისაკენ წავიდა. — გიგამ დამაბარა, ერთი საათით მკირდები-თქო.

ნამშრალიდან ჯერ მუხის კოჭები გამოვიტანეთ; მძიმე იყო, მძიმე; მიწამდე დაგვანრევინა თავი. მერე ფიცარებიც გამოვზიდეთ: კიბის საფეხურებისა და სახურავისა.

სულ მალე მანქანაც გამოჩნდა, უკან-უკან შემოვიდა ეზოში. კაბინიდან ყინჩად გადმოხტნენ ილო და გია, გადახსნეს ძარა, და, თითქოს ჰოლოკივით აიტაცებნო, მუხის კოჭებს არ დაეწოდნენ? მიწას ძლივს რომ ააცილეს, წელში აიშალნენ, ერთმანეთს შეხედეს და აუვარდათ სიცილი.

— სად უნდა წავილოთ? — იკითხა ნიკა ძიამ.

— ხილოვანში, — მე ვუბასუხე.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა, და ეს ვეება კაცი ისე მკვირცხლად დატრიალდა, რომც არ მიშველებოდ-

მ ზ ი ს ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი

გაზაფხული მოგვიყვანე, მზეო,
ენძელებით მოგვიჩითე ველი,
შინდი ყვითლად
შეგვიფერე, მზეო,
ტყემლებს თეთრი
გადაუსვი ხელი,

კვირტოა სკდომით
დაგვათენე დილა,
იის ლანვზე გვიკიაფე ცვარი,
ხნულში თესლი გაგვიღვივე, მზეო,
ცხვარ-ბატკანი დაგვიპურე
მწვანით, სხივთა სირმა

შემოავლე, მზეო —
ოქროს ვარაყს აელვებდეს სერი,
და თვალები
გაგვიბრწყინე, მზეო,
მოქარგული მთის და
ბარის ცქერით!

დ ი ლ ე

რიურაუს გაუდის
წითლად ვარვარი,
რიურაუისფერი
ყივის მამალი.
მამალს მიჰბაძა
ორმა ყვინჩილამ,
ორივეს ყელი
უგავს ჩიჩილაკს.
უცებ აივსო
სოფლის წიაღი
ბატის ყიყინით,
ქათმის კრიახით,
თიკნის კიკინით,
ბატკნის პეტელით,
ნაგაზის ყეფით,
ყეფით სეტერის.
გადმოიღვარა
მზის შუქის თქორი,

გამხიარულდა
ცვრიანი მოლი.
ცურსავსე ძროხას
ბებია წველის,
სადლაც სათიბში
ასხივდა ცელი.
ვუმადლი მზეს და
გლესკაცის შრომას,
ასე ლამაზი
მამული რომ მაქვს.

ტყე უკვე იშმუშნება
თოთო ყლორტებყყრილი.
გაიღვიძა ბუნებამ,
რტოში ღვენთავს აპრილი.
გაზაფხული მერქანში
შფოთავს, ველარ ეტევა...
მზის სხივები ცის გუმბათს
შესდგომიან სვეტებად.

ქ ი ლ ჯ ა თ ი

მართლა ზღაპარი ვიხილე,
მზეში მღეროდა კოლხიდა.
რტოდან ლიმონი მიმზერდა,
როგორც ლამაზი — ოდიდან.
აქეთ — სურნელი ფორთოხლის,
იქით — სიმწვანე ჩაისა.
აქ მიწამ მათი ფესვები
გულში ძარღვებად ჩაისვა.
დედაო, ტკბილო მშობელო,
შენს ზეცას სულ სხვა მადლი აქვს,
ვინც მოდის და ვინც გიხილავს,
წასვლა აღარა სწადია.
შენით ვამაყობთ, მამულის
მზემდე ასულო სახელო,
შენ — უკვდავების სიმაღლის
საკუთარ თვალით მნახველო.

ნენ, მარტო თვითონ ასწევდა მუხის კოჭს; თავი ისე და-
უღო ძარაზე, ერთი არ ამოუხვენეშია, — აბა, მივაწექით!
— მართლა წიფლის დათვი ხარ! — გაეხუმრა მამა-
ჩემი.

ფიცარი უცებ ავყარეთ ძარაზე.
— გოგას გარდა ყველანი მოდიხართ? — მიიხედ-
მოიხედა ნიკამ.

— ალბათ, ყველანი, — უთხრა ადამამ და კაბინის
კარი გამოაღო.

— ვანშამი ვისზე იქნება? — მოტორი ჩართო ნიკამ.

— ჩემზე, — უპასუხა მამაჩემმა და ახლა ადამს მიუ-
ბრუნდა: — კარგად დათვალიერე სახლი, კრამიტიც
აწეწილია და, რაკი ვაკეთებთ, ბარემ ვაკეთებაც ერქვას.
იცოდე, ყველაფერი შენს მადლიან ხელში უნდა გაატ-
არო, ვითომ შენი სახლია, ისე.

— შენს სახლად რომ ვიგულისხმო?

— ასეც შეიძლება.

— შენი შვილისა თუა, შენი ყოფილა და ეგ არის!
დაფიქრდე, სხვანაირად არც გამოდის. ხომ ეგრეა, ნიკავ?

— როგორც უნდა გადააბრუნ-გადმოაბრუნო, აზრი
მაინც ევა აქვს. წავედით, ბიჭებო!

სამივენი ძარაზე ავედით.

მანქანა ფრთხილად გავიდა ეზოდან.
მამაჩემმა ნალელიანად გამოგვაყოლა თვალი.
სამი კილომეტრი მითხარი და იმის მანქანით გავლა.
მაღეც მივედით.

კაბინიდან ჩამოვხტი და ჭიშკარს ვეცი. ის იყო, ერ-
თი ფრთა გავაღე, მარნიდან ცირას დედა გამოვიდა.

— რა ამბავია? — მკაცრად მკითხა.
წახევრად მოლიავებული კარი დასახურად აქანავდა.
მკერდით შევაჩერე.

— კიბის მასალა მოვიტანე... ხელოსანიც მოვიყვანე.

— დედაჩემი გეტყოდა, — უარესად მოიღუშა.

— მე თვითონ მოვიფიქრე.

— დაიფიცე!

— ცირას გეფიცები.

ჩემკენ წამოვიდა. ჩამოვეცალე. მოვიდა და დასახუ-
რად ატოკებული კარის ფრთას გასაღებად მოაწვა.

შევებით ამოვისუნთქე.

— ცირა სად არის?

— მამუკას ამეცადინებს... ცირა!

საქ. სსრ კ. მარტისი
საბ. სსრ

სულ ასკლავრდა დედაში გვიკვდის

არა, არ მინდა, რომ ადრე დაჰკნეს
ნაზი ხელები მშობელი დედის;
არა, არ მინდა, რომ დედაჩემმა
გაიყოს ფოთლის მწუხარე ბედი!..
ვიცი, არ მიწყენს ბებიაჩემი,
თუმც ძლიერ მიყვარს ჩემი ბებია, —
დედაც მასავით რომ დანაოჭდეს,
ამას ვერაფრით შევრიგებდვარ.
მიტომ ვამსგავსებ ჩვენს ოჯახს ედემს,
დედას რომ ვხედავ ლამაზს და ჭკვიანს;
დედებს ვუშველოთ, საყვარელ დედებს, —
რაც შეიძლება, დაბერდნენ გვიან!..

შუშანიკ გრიგორიანი,
ლენინაკანი, მანუშაიანის სახ. სკოლა,
VIII კლასი
ლექსები თარგმნა მ. შალაშვიტაძემ.

ყველაზე კარგი პლაჟიანი, ვისაც ვიტყვო

ჩემი ბებიკო უსაზღვროდ კეთილი, სათნო და გულბრყვილო, დინჯი და გულწრფელი ქალია. ბებიკოს სკოლა და უმაღლესი არ დაუმთავრებია, არც ერთხელ არც ერთ გაკვეთილს არ დასწრებია. მან არც კი იცის, რაა მათემატიკა ან ზოოლოგია, არ იცის, როგორ გვიხსნიან გაკვეთილს. მისი მასწავლებელი ცხოვრებაა, ცხოვრების გაკვეთილები უსწავლია.

ჩემი ბებიკო... მასზე იმდენი კარგი რამეს მოყოლა. იმდენი სააღერსო და ტკბილი სიტყვის თქმა შეიძლება, რომ ყველა მის მიმართ სიკეთით განეწყობა. მძიმე, მეტად მძიმე ცხოვრება გამოიარა ბებია. მაგრამ არასოდეს სასოწარკვეთილებას არ მისცემია, ხალისი არ დაუკარგავს, მომავალს იმედის თვალთ შეჰყურებს. მეც შთამაგონა: სიძნელეებისა ნუ გეშინია, არაფრის წინაშე ქედი არ მოიხარო, ნებისყოფა უნდა იქონიო და დაბრკოლება სძლიო, მხოლოდ კეთილი და ლამაზი უნდა ეძიო. ჩემი ბებიკო სპეტაკი გულის პატრონია, ყველა ბავშვი უყვარს, ყველას მიმართ უსაზღვროდ კეთილია, მზადაა დაეხმაროს.



არმინე ანნალიკიანი, 9 წლის,
„საში მუშაქატიანი“. ლენინაკანი



არამიკ ნალჩაჯიანი,
VI კლასი, ერევანი



აშოტ მარტიანი, 10 წლის,
„მასხარა“. ერევანი

პატარებს რომ ვუწყებო, ბებიკო ჩვეული ლობიერებით მეუბნება:

— ნუ ტუქსავ, პატარები უნდა გიყვარდეს, უნდა შეაგნებინო, რომ ცდებიან, უჩვენო, როგორ მოიქცნენ.

ყველა ჩვენი ნაცნობ-მეზობელი პატივისცემით ეპყრობა ჩემს ბებიას, რადგან იგი ჭეშმარიტი სიკეთის განსახიერებაა.

ლარისა აბაზიანი,
ნოემბერიანის რაიონი, სოფელი ბერდავანი,
მე-8 კლასი.

ქიმი უნდა გაყოვილა

ავად ვიყავი.

— ამ ბავშვს რამე რომ დაემართოს, რძალო, თავი ცოცხალი აღარ მინდა! — თქვა ბებია და ატირდა.

ქვეყნად არავის ჰყავს ასეთი ბებია. მაგრამ, სამწუხაროდ, ფეხები სტკივა. თუმცა ხანდახან ტკივილი დაუამდემა ხოლმე. ეს ჩვენი მასწავლებლის წყალობით ხდება. ის იყო, ჟურნალ „რაბოტნიცას“ ერთ-ერთ ძველ ნომერში რომ წაგვიკითხა:

— ფეხის კუნთების ტკივილს მარილწყალი აყუჩებსო.

იმ დღეს ჩუმად მარილი ჩავყარე წყალში, რომლითაც ბებოსათვის ფეხები უნდა დაეხანათ. და ეს რომ არავის შეენიშნა, დედას ვთხოვე:

— რა იქნება, ერთხელაც მე დავბან ბებიკოს ფეხებს! დედამაც და ბებიამაც უარი არ მითხრეს. მას აქეთ ჩემს ბებიკოს ფეხები აღარ სტკიოდა. ყოველთვის, როდესაც ფეხების დასაბანად წყალი მოჭქონდათ, ბებია იტყოდა:

— ფეხები ჩემმა შეილიშვილმა დამბანოს, როდესაც იგი მბანს, ტკივილს ვეღარ ვგრძნობო.

...მაგრამ ერთხელ ისევ ასტკივდა ბებოს ფეხები; მარილწყალი უკვე ვეღარ შევლოდა. მას შემდეგ ყოველთვის, მის საწოლს რომ ვუახლოვდები და ყრუ კენესა მესმის, ჩავჩურჩულებ:

— მოითმინე, ბებიკო, ცოტაც მოითმინე, გავიზრდები, ექიმი გამოვალ და განგკურნავ.

— ჰო, შენი ჭირიმე, ჰო, — მიპასუხებს ბებია.

აი, ამიტომაც მინდა, ექიმი გამოვიდე. და გამოვალ კიდევ.

სუსანა ხაჩიანი,
ბადრუთის რაიონი, სოფელი ელილუ,
მე-5 კლასი



ვაკაბენ
მკობრონიანი

ნათია ანი

მხატვარი
ელშარდ ამბოკაძე

კიბორჩხალა მუხვი?

აღრე კიბორჩხალა მდინარეში ცხოვრობდა. რაღა თქმა უნდა, ახლაც იქა ცხოვრობს, მაგრამ მაშინ ლაპარაკი შეეძლო, და უნდა გითხრათ, საკმაოდ კარგადაც ლაპარაკობდა. თუმცა თავად კიბორჩხალა ამაზე სხვა აზრისა ბრძანდებოდა; არა, მასაც სჭეროდა, რომ კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ თავი დიდად ნიჭიერად მოქმენდა, და ეგონა უკეთილაპარაკებდა, რომ ის ენა, რომელზედაც ის მეტყველებდა, თავისთავად უკეთესი ყოფილიყო.

გაზაფხულზე ლელიანში ჭერ იყო და ბატები გამოჩნდნენ. ძალიან მოეწონა კიბორჩხალას მათი ენა. „აი, ენაც ამას ჰქვიაო, — გაიფიქრა, — ამ ენაზე მოსაუბრე არა მარტო განათლებული შეიძლება ჩანდეს, უფრო წინაც წავაო“. ჰოდა, კიბორჩხალას ნიჭიერებასაც ვა მიეცა, ლელიანთან მიცურდა. ბატებს ყური მიუფლო და უმალ მათ ენაზე ალაპარაკდა, მოდგა და ლანძღა კიბორჩხალეები, მათი ჭილაგ-მოდგმა, ამის შემდეგ მთელი თავისი გვარ-ტომი, და თვითონაც ბატების მარაჟში გაერია.

ბატები დიდხანს არ დარჩენილან ლელიანში, უფრო ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ. სამხრეთიდან ახლა იხვები მოფრინდნენ და ბატების ადგილი დაიჭირეს. ახლა იხვების ენამ გადარია, მოაჯაღოვა კიბორჩხალა. მალე აღბათ სრულყოფილად დაეფუფლებოდა მათ ენას, მაგრამ იძულებული შეიქნა გედების ენა შეეთვისებინა, რადგან ახლა იხვებიც ჩრდილოეთით გადაფრინდნენ და მათ ნაცვლად გედები მოფრინდნენ. ახლავე ვიტყვი, კიბორჩხალას გედურსაც იგივე ბედი ეწია:

რა დასამალია, გედების ენითაც უმალ მოიხიბლა კიბორჩხალა და სწრაფადაც შეითვისა, მაგრამ რა ხეირი ეყარა ამაში — გედებიც მალე ჩრდილოეთის გზას გაუდგნენ. ამის შემდეგ ლელიანში წეროები მიფრინდნენ.

ამჯერად კი გაუმართლა ბედმა კიბორჩხალას. წეროები, ეტყობა, საშუალოდ აპირებდნენ იქ დარჩენას, თანაც მანამდე არც ერთი ენა ახე არ მოსწონებია. წეროების საუბარს რომ უსმენდა, სიამოვნებისაგან ზეზეულად დნებოდა, ალბათ ამიტომ ბატურზე, იხვურზე და გედურზე უსწრაფესად ეს ენა აითვისა: „აი, ენა, აი, შნო და ლაწათი, — ტკებოდა კიბორჩხალა. — ამ ენით საუბარი ღვთის მადლია, აბა რა!“

იმ ზაფხულს წეროები მდინარის ბატონპატრონები იყვნენ და კიბორჩხალაც დილიდან გვიანობამდე მუხლჩაუხრელად მათ გვერდით ტრიალებდა. უჩვენებდა, რომელ ქვას იყვნენ ამოფარებული თევზები, სად იყო ბაყაყების სადგომი, თან ტკბილი, წკრი-ალა ხმით არწმუნებდა, რომ ამ მცირეოდენ სამსახურს უანგაროდ უწევდა მათ, არაფერ გასამრჩელოს არ თხოულობდა მათგან. დილაუთენია გამოეცხადებოდა წეროებს, გვიან დამემდე არ შორდებოდა. დღისით წამდა-უწუმ ჭამის მადას უქებდა (წამდაუწუმ, რადგან წეროები გაუმადლები იყვნენ). „დილა მშვიდობისა“, „ძილი ნებისა“, „შეგერგოთ“, „გამოთ“, — ამ სიტყვებს, რა თქმა უნდა, წეროთა ენაზე ამბობდა და ჭორავდა, წყევლა-კრულვას უთვლიდა თავის მოდგმას ისევ წეროთა ენაზე.

ვერ ვიტყვი, წეროებს არ მოსწონდათო, კიბორჩხალა მათ ენაზე რომ ლაპარაკობდა; თავად იმ კიბორჩხალას კი ეგონა, საოცრად ლამაზად მეტყველებდა წეროსებურად. ისე წაყრიდა სიტყვებს, კიბორჩხალეებს რომ სჩვევიათ, და ეს მისი „ლამაში“ მეტყველება წეროებს ყურსა სჭირდა. და მაინც კეთილად იყვნენ განწყობილი ამ მათთვის ერთგული, თავდადებული, სახიერო და სასაცილო არსებებისადმი.

კიბორჩხალა გვიანდა მიხვდა, რომ ტყუვლებოდა, ამოდ ფიქრობდა, წეროები ამ მდინარის და, თუნდაც, ლელიანის მარადიული ბატონპატრონები არიანო. დაუბერა თუ არა ცივმა სიომ, წეროები აფორაქდნენ, სამხრეთისაკენ გადასაფრენად მოემზადნენ. შფოთი, აურზაური მაშინ უფრო გამძაფრდა, როცა სულის მოსაქმელოდ ერთმანეთის მიულოებით მოევილენ ლელიანს ერთ დროს აქ ასევე დროებით დაბინავებული, ჩრდილოეთიდან მოფრინილი ბატები, იხვები და გედები. ამ ორომტრიალსა და აღიქოთში არავის ეცალა კიბორჩხალასათვის, კიბორჩხალას კი კარგად ესმოდა, რაც მოუვილოდა, როცა ყველა წავიდ-წამოვილოდა და მარტოდ დარჩებოდა. ისიც ადგა და მივიდა წეროებთან: „თან წამიყვანეთ, აქ არ დამედგომება, თქვენს ენას რომ ვსწავლობდი, საკუთარი დამაიყვანაო“. თუმცა ალა-შფოთა ისინი კიბორჩხალას ასეთმა თავბელობამ, მაგრამ მაინც უთხრეს: „კეთილი და პატიოსანი, ერთად გადავფრინდეთ, ფრენა თუ შეგიძლიაო“, გაეცინათ და. შართლაც, განა სასაცილო არ იყო? სად კიბორჩხალა და სად ცაში ფრენა! იმედგაცრუებული ახლა ბატებს მიადგა, მერე იხვებსა და გედებსაც. უნდოდა ეთქვა: „თქვენ მაინც ნუ გამრიყავთ, მე ხომ თქვენთვის საკუთარი ჭილაგ-მოდგმა დავთმეო“. და ჰოი, საოცრებავ, შიშმა ააკანკალა, თავისივე ნათქვამის არაფერი ესმოდა, მიხვდა, რომ ყველა ენას ერთმანეთში ურევდა. ამიტომ ბატებმა, იხვებმა და გედებმა კიბორჩხალას ვერაფერი გაუგეს და, კიდევ რომ გაეგოთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იმავეს ეტყოდნენ, რაც წეროებმა უთხრეს. ანდა — სად შენ და სად ჩვენო! ცივი სიო დღითიღვე უფრო და უფრო ძლიერდებოდა. და შემოდგომის ერთ აღრიან დილას ლელიანი სულ მთლად დაიცალა.

იმ შემოდგომითა და ზამთარშიც კიბორჩხალას თავი ამაყად ეჭირა, იცოდა, მისი მოდგმა ლალატს არ აპატიებდა და, რომ არ დამცირებულიყო, აინუნშიაც არ აგდებდა მათ, იხტიბარს არ იტებდა, ვითომ თვითონ არ კადრულობდა. შემოდგომა და ზამთარი გაბედნიშლმა სულ სიმარტოვეში გაატარა. დადგა გაზაფხული და...

და როცა გაზაფხულზე ლელიანში ისევ გამოჩნდნენ წეროები და სხვა ფრინველები, კიბორჩხალას იმედის სხივი ჩაულგა გულში;

გაუბედავად მიეხლა, უნდოდა მოკეთებდნ მისაღმებოდა, მაგრამ ჭერ ენის დაძვრაც ვერ მოეწრო, რომ ერთმა წერომ დაძკრა და დაძკრა, ნისკარტით თავი გაუჩქქვა... არა, ნუ გეშინიათ, არ გადაუულაპავს (მე შენ გეტყვი, თვეში იყო ან ბაჟაჟი, ერთი გადალტქავებული მშრალი კიბორჩხალა იყო), პირი ჩაავლო და მოისროლა. ასევე გაუმას-პინძლდნენ ბატები, იხვები და გედებიც, ყველამ საცოდავ კიბორჩხალაზე მოსინჯა ნისკარტის ძალა. ეს იყო და ეს, გაიტრუნა და გასცილდა იქაურობას კიბორჩხალა, ჩავიდა მდინარის სიღრმეში და ქვას ამოეფარა.

ახე და ამგვარად, დარჩა კიბორჩხალა მარტოღმარტო. თავის გვარტომს ვედარ დაუბრუნდებოდა, ახალი მოკეთენიც ხომ ავი თვალთ უყურებდნენ. სხვა რაღა რჩებოდა. და რადგან მეტად არავის დალაპარაკებია, ურთიერთობა არავისთან გაუბამს, ენაც დაუდუმდა, ლაპარაკს გადაეჩვია, საშუღამოდ დამუნჯდა.

აი, ახე დაისაჯა ეს ჩვენი კიბორჩხალა ამპარტავნობისათვის. ის დღეა და ის დღე, დამუნჯდა და ისე გაბოროტდა, ახლაც დვარძლს ანთხევს. ვის ფეხსაც მოიხელთებხ, ბრჭყალებით ჩაეჭიდება, ატკენს. ვნებით კი ვერაფერს ავენებს, სხვა არაფერი, თავად მას ხომ არაფერი ემატება...

თარგმნა გივი ლუპარსბიფივილიძე.



საქონეაუვიცი წლი პიონერულმძღვანელი

გადივი დალაქანი

შინ თუ სკოლაში ნაცნობი თუ თანამშრომელი მას ამხანაგ ჰამოს ეძახის. ბევრმა არც კი იცის, რომ მისი სახელი, მამის სახელი და გვარი ჰამოზასპ ალექსანის ძე ეზარიანი. მაგრამ ლენინაკანში და მთელ რესპუბლიკაში ყველამ იცის, რომ ამხანაგი ჰამო პიონერული მუშაობის ვეტერანი და სომხეთის სსრ დამსახურებული მასწავლებელია. იგი დაჯილდოებულია მედლებითა და ორდენებით, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, საკავშირო ალკკ და სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტების საპატიო სიგელებით, სამკერდე ნიშნებით; მას უცვლელად ირჩევენ სომხეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ყრილობათა დელეგატად.


ბევრმა არც კი იცის, რომ ამხანაგი ჰამო პიონერულ მუშაობას 1927 წლიდან შესდგომია, როცა ჯერ კიდევ... 12 წლისა იყო.

ამხანაგ ჰამოს აღზრდალები ახლა უკვე დაბრძენებული ადამიანები არიან; მას რომ ხვდებიან, უკვირთ: თვითონ თითქმის დაბერებულან, ის კი ძველებურად მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურება; უკვირთ, 67 წლის „პიონერი“ ჯერ კიდევ წარმატებით რომ უძღვება თავის საქმეს და ლენინაკანის ა. ს. პუშკინის სახელობის სკოლაში უფროს პიონერხელმძღვანელად მუშაობს.

მასსიხ ვოსკანიანი.

ამხანაგ ჰამოს პიონერები

ამხანაგმა ჰამომ მთელი ცხოვრება პიონერული დაფდაფებისა და წინწილების გრიალში, ახლო თუ შორეულ ლაშქრობებში, ექსკურსიებში, მოგიზგიზე კოცონებთან, ბანაკებსა და პიონერულ შეჯიბრებებში გაატარა.



მის პიონერებს სომხეთის თითქმის ყველა ისტორიული ადგილი, მრავალი დაბა-სოფელი აქვთ მოვლილი, ქარხნებში, მალაროებსა და გამოქვაბულებში ყოფილან, მწყემსების კარვებში ღამე უთენებიათ, მწვერვალებზე ასულან, მოძმე რესპუბლიკების ღირსშესანიშნაობანი დაუთვალიერებიათ. მაგრამ ლაშქრობები და ექსკურსიები მათ ხელს არ უშლით, რომ ყოველ კვირას მშობლიურ ქალაქში, უცნობი ჯარისკაცის ძეგლთან იმორიგეონ. მათ ევალებათ დაღუპული გმირების ძეგლთა დაცვაც. ხოლო ამხანაგ ჰამოს თემურელთა რაზმები მოულოდნელად ჩნდებიან ხოლმე

ამა თუ იმ სოფელში, მხარში უდგე-
ბიან მარტოდ დარჩენილ დედებს,
რომლებსაც შვილები ფრონტზე და-
ლუპვით, ენმარებიან ყველას, ვისაც
მათი დახმარება სჭირდება.

ამხანაგი კამო და არაგვის მთა

არაგვის სიმაღლეები პირველად
1890 წელს დაიპყრო გეოგრაფმა პას-
ტუხოვმა. ხოლო ამხანაგ ჰამოსთვის,
უკვე რამდენიმე ათეული წელია,
არაგვის მწვერვალზე ასვლა ტრადი-
ციულ ზეიმიად იქცა.

მართალია, ფერდობი ციცაბოა და
ასვლისას ხშირად აუცილებელია
ჯოხებისა და თოკების მოშველიებაც,
მაგრამ რა შეიძლება შეედაროს იმ
სიხარულს, აღმართს რომ აათავებ!
გული სიამაყით გიძგერს, შენი თავი
ყველზე ძლიერი და უშიშარი გგო-
ნია!

ყოველ გაზაფხულზე, უკანასკნელი
ზარი რომ დაირეკება, ლენინაკანის
ა. ს. პუშკინის სახელობის სკოლის
პიონერები არაგვის მთის 4012 მეტ-
რის სიმაღლიდან ესალმებიან ბუნე-
ბასა და ადამიანებს.

ამხანაგი კამო და ჯაჯუნი

ეს ამბავი 1943 წელს მოხდა. „ამი-
ერკავკასიის რკინიგზის“ ბანაკში ის-
ვენებდნენ ფაშისტებისაგან განთა-
ვისუფლებული რაიონებიდან ჩამოყ-
ვანილი ბავშვები. ხმა გავრცელდა,
პიონერებთან შესახვედრად გმირი
მფრინავი ჩამოდისო. მისი ვინაობა
არავინ იცოდა. ბავშვები უფროს პი-
ონერხელმძღვანელ ამხანაგ ჰამოს-
თან ერთად სტუმართან შესა-
ხვედრად სადგურში წავიდნენ.
დიდხანს იცადეს, მაგრამ ის მა-
ტარებელი, რომლითაც გმირი მფრი-
ნავი უნდა ჩამოსულიყო, არ ჩანდა.

უცებ მორიგე მოვიდა და მოგვახ-
სენა, სტუმარი უკვე ბანაკშია...
ბავშვები რომ დაბრუნდნენ, უკ-
ვე გვიანი იყო, ეძინა ყველას, და-
მხედურებსაც და სტუმარსაც. მხო-
ლოდ სონიას თვალს არ ეკარებოდა

რული. სონია და კიდევ ერთი ბიჭი
გრიშა, დაღუპული ბელორუსი პარ-
ტიზანების შვილები, ჰამოს ნაშვილე-
ბი ჰყავდა. სონიას შეშინებული სახე
ჰქონდა, კანკალებდა, რაღაცის თქმა
უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა. ბო-
ლოს ამხანაგ ჰამოსთან მივიდა და
უთხრა, რომ ჩამოსული სტუმარი
სრულიადაც არ იყო ის გმირი მფრი-
ნავი, რომელსაც ელოდნენ. ის თურ-
მე ფაშისტების მიერ მოსყიდული
ბელორუსი მოღალატე იყო, რომელ-
მაც არ დაინდო, აწამა საკუთარი
დედა და ბებია, დახვრიტა ძმა.

ამხანაგმა ჰამომ სონიას და გრი-
შას უბრძანა, არავისთვის არაფერი
გაემხილათ და უცნობის კარვისთვის
თვალყური ედევნებინათ.

შუალამისას „სტუმარი“ ქურდუ-
ლად გამოვიდა კარვიდან და რკი-
ნიგზის ლიანდაგისაკენ გაემართა.
ბავშვები უკან გაჰყვნენ.

როდესაც „სტუმარმა“ რელსებ-
ქვეშ ლითონის რაღაც ნაჭერი ამო-
დო, გრიშამ სასიგნალო რაკეტა ის-
როლა.

ბანაკში განგაში ატყდა.
მაგნიტური ნაღმი რკინიგზელი ოს-
ტატის ხელმა გააუფნებლა. დამნაშა-
ვემ მიმალვა მოასწრო. მაგრამ ბო-
ლოს იგი საქვაბეში — ნახშირის გრო-
ვაში იპოვეს.

მოღალატე მოსკოვში გაასამართ-
ლეს. სონიაც და გრიშაც სასამართ-
ლოს ესწრებოდნენ, როგორც მოწმე-
ები.

ამ შემთხვევის შემდეგ რკინიგზის
ლიანდაგის გაყოლებაზე, ყოველ 100
მეტრში, ამხანაგ ჰამოს მიერ დანიშ-
ნული პიონერული პატრულები იდგ-
ნენ და იქაურობას ფხიზლად დარა-
ჯობდნენ.

ამიკონ თაქორიანი
მხატვარი თემურ ფიკიძე



თაკოს ხარეზი

ვლადიმერ
ასლაგაზიშვილი

გოთხროვა

მხატვარი
ირინა ბარანოვა

ოდნავ ღია კარის წინ თაკოს დედა იდგა და ჩუმად ტიროდა. მალალო, გამხდარი ქალი იყო, ლოყებზე ჩამოგორებულ ცრემლებს ლურჯი, გახუხებული წინსაფრის ბოლოთი იწმენდდა, თან ისე, რომ მარტო ჩვენ — მე და თედოს გაგვეგონა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა:

— წუხელაც დიდი სიცხე ჰქონდა, თონესავით უფარვარებდა სახე, პაი, ცივ-ცივი ტილოები შუბლზე, პაი, ფეხის გულების ზელვა ძმრითა და არყითა, მაგრამ, რა, არა და არ გამოხელდა ის ოხერი სიცხე. მთელი ღამე თეთრად გაათენა და მეც ეგრევე ზეზეულად... თვალი არ მომიხუჭავს, ან რა დამაძინებდა, ქა, გოგო იმ დღეში მყავდა, დედა მოუქცევს. ერთი საათის წინ ჩათვლიმა, იქნებ ღმერთმა გადმოხედოს და გამოკეთდეს...

მე და თედო ვიდექით აივნის დირესთან და დაღონებულები თვალგამტერებით ჩავცქეროდით ნაადრევი თოვლით გადაფიჭულ აგურის ფილაქანს, უთაკოდ ტყეში წასვლა არც ერთს არ გვინდოდა. თაკო მუდამ ჩვენს გვერდით იყო, ჩვენთან ერთად ეზიდებოდა ტყიდან შემის გულდურებს.

— ექიმმა რა თქვა? — ყრულ, თითქოს ორმოში ზისო, ისე იკითხა თედომ.

— ძალიან ვაცაებულება, ფილტვების ანთების ნიშნები აქვს და სულ სითბო უნდაო.

— წამალი? — ხმა ამოვიღე მეც.

— გუშინ გამოუწერა. ზოგი თუ ჩვენს აფთიაქში ვიშოვეთ, ზოგის შოვნას ჩემი მახლიშვილი დამპირდა.

— ვნახოთ? — ჩემს გასაგონად თქვა თედომ.

— ვნახოთ. მაშ! — დაუვლასტურე და აივნის დირეს გადავალაჩეთ. თოვლით დაფიჭული მხრები ჩამოვიბერტყეთ, მამისეული კახიროკიანი ქუდები მოვიხადეთ და დაგბერტყეთ.

ელენე დედა ისევ კარის წინ იდგა, ყოყმანობდა.

— რო სძინავს, ბიჭებო?

— მარტო დაგხედავთ, რა! — შევხვეყნა.

— არ გამიღვიძოთ, შვილო, წუხელ არ უძინია...

ოთახში, სადაც თაკო გვეგულებოდა, ნახევრად ბნელოდა. დაორთქლილი ორი ფანჯარა ზამთრის ცრიატი დღის შუქს სუსტად ატარებდა. ოთახის შუაგულში თუნუქის ლუმელი ენთო. ნაცრის დამჭერი კალთის ქვეშ რცხილის შემის რამდენიმე ცალი მაჯის სიმსხო ნაჭერი ეყარა. ლუმელს იქით, ხალიჩაჩამოფარებულ კედელთან ტახტი იდგა, ზედ თაკო იწვა. საბანი ნიკაპამდე ეხურა. დედამისს, უფრო მეტი სითბოსთვის, მეცხვარის ტყაპუციც წაეფარებინა. თაკოს მარტო ცხვირი, დახუჭული თვალები და სიცხისაგან გაფარვარებული მარცხენა ლოყა მოუჩანდა.

იატაკი ჭრიალებდა და ოთახში გამეფებული სიმყუდროვე რომ არ დაგვერღვია, ტანტისკენ ფრთხილად წავედით, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგივით და გავჩერდით.

თაკოს ღრმად ეძინა, თხელი, მწიფე შვინდივით წითელი ტუჩები ოდნავ გაპობოდა, მთრთოლვარე ნესტოებზე და ღაწვებზე ოფლის წვეთები ეყარა, ოფლს შუბლზე დაფენილ თეთრ ხილაბანდშიც გამოეყონა.

ვიდექით მე და თედო თაკოს საწოლთან, ვიდექით და გუშინწინდელი ამხავი გვიტრიალებდა თვალწინ.



ორმოცდაორი წლის ზამთარი, ზოგისთვის რომ გეკითხათ, იტყოდა, ჩვენში არც ისე მკაცრი იყო. მე, თაკოსა და თედოს კი ძალიან მკაცრი გვეჩვენებოდა. იქნებ იმიტომ, რომ ორ-სამ დღეში ერთხელ ტყის სტუმრები ვიყავით — ხმელი შემის გულდურებს ვეზიდებოდით. მეტი რა ჩარა იყო, მამები ფრონტზე იბრძოდნენ და უკაცოდ დარჩენილი ოჯახების მოვლა-პატრონობა ქალებისა და ბავშვების ზურგზე გადადიოდა. დედებს სად ეცალათ, წისქვილში ევლოთ და ტყე-ტყე ფიჩხი ეგროვებინათ, იმათ შინაც და ფერმამიც თავსაყარი ჰქონდათ საქმე.

როგორც ვითხარით, თაკო, მე და თედო ტყეში ერთად დავდიოდით. მოვიდიოდით სკოლიდან, თუ რამ მოგვეძიებოდა სახლში, დაწვარდებოდით, მერე ძველმანებს ჩავიცვამდით, ილღაში წაღლებს ამოვიჩრდიდით და თაკოანთ ეზოში მოვიყრიდით თავს.



— აბა, ჩემო ხარებო, წავედით, — იტყოდა სიცილით თაკო და სოფლის გზაზე ტყისკენ გაგვიძღვებოდა.

ხარები თაკომ, რაც ჩვენთან ერთად ტყეში სიარული დაიწყო, მაშინ შეგვარქვა. არ გვეყინდა, პირიქით, ამ ჩხიკვა გოგოს გული რომ მოგვეგო და რითიმე გავვეხარებინა, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, თაკოს მაგიერ ხმელ შემას ჩვენ ვეძებდით, გულურას ვუკრავდით წნელებით, რასაც გვეტყოდა, უყოყმანოდ ვუსრულებდით. ამას იმიტომ ვაკეთებდით, რომ, როცა თაკო ჩვენთან ერთად იყო, ვხალასობდით; თაკოს თვალში რომ მეტი ფასი დავგდებოდა, იმის კონას როგორიგით ჩვენ ვეზიდებოდით, თუმცა უფრო ხშირად თედოს, ამ ჩუმ, მეტისმეტად მორცხვ ბიჭს უწევდა ზიდვა და ეს თაკოს სურვილით ხდებოდა.

— შენ, ჩემო ნიკორა, კაი ძვალმსხვილი ბიჭი ხარ და იმ აღმართზე კონას ამიტანო, — ეტყოდა თაკო თედოს და ჩუმად ჩაიცინებდა.

— ავიტან რა! — წაიბურტყუნებდა თედო, თავის კონას ფრთხილად დაედება ძირს, ისე, რომ წნელები არ შესწყვეტოდა, და ზურგზე თაკოს კონას მოიგდებდა.

თაკოს კონა ჩვენს კონებთან შედარებით პატარა იყო და მისი ზიდვა მაინცადამაინც არ ჭირდა, მაგრამ აღმართზე იმისი ამტანი უკან უნდა დაბრუნებულიყო და ახლა თავისი კონა ეზიდნა, მაშინ კი სული ყელში მოდიოდა, ქანცი გვეცლებოდა. თუმ-

ცა ამას არც ერთი არ ვიმჩნევდით, ერთს არ დავიჩინებდით.

ჰო, მოიგდებდა თავის კონას ზურ-გზე თედო და დაადგებოდა აღმართზე ამავალ ბილიკს. სანამ ის ზევით ავიდოდა, თავო გაასწრებდა, გადმოდგებოდა ბექობზე და მოჰყვებოდა ენაკვიმატობას:

— ნიკორ, ჰაი, ნიკორ! ყოჩაღად მოიქეცი, შინ რომ მივალთ, ნამჯის მაგიერ თივა უნდა დაგიყარო. — მერე აკისკისდებოდა, ისე იცინოდა. თვალებიდან სულ ღაპაღუბით ცრემლი სცვიოდა.

მის მაყურებელს მაგარი ნერვები სჭირდებოდა, რომ ხმა არ ამოეღო. თედო ხშირად ყურს მოიდვრებდა, ვითომ არ გამიგონიაო, თუმცა ხანდახან მოთმინება ღალატობდა და წყენაგარეული ხმით იტყოდა:

— გოგო, ეგ ენა მანც გააჩერე! ამის გამგონე თავო, ვითომ ძალიან გავჯავრდით, ლოყაზე ხელს შემოიკრავდა:

— უი, დედავ, რა უმადურია ეს მართლა ნამჯილეჭია. ნეტავი ვინ გენვეწებოდა, ჩემი კონა რომ აიკიდე? კარგი, ხელი აღარ ახლო, მაგას ელგუჯა მშვენივრად ზიდავს, შენზე ნაკლები არ გეგონოს. მართალია, გამხდარი ბიჭია, მაგრამ ქვის ნატეხია! გუჯის აწყინოს შენმა წილმა თივამ.

თავო ახლა მე მომიბრუნდებოდა, თვალეში ეშმაკურად ნაპერწკლები აენთებოდა და ნაწყენი კილოთი დაუშმატებდა: — ჰა, გუჯი, რას იტყვი, ზიდავ ჩემს კონას?

იმ დროს ისე ვიყავი ხოლმე დაღლილი, ლაპარაკის თავიც არ მქონდა, რომ თავოსთვის რამე მეთქვა, დასტურის ნიშნად თავს ვიქნევდი, ვდებდი ძირს ჩემს კონას და მის კონას ავიკიდებდი. თავო არც ჩემთვის იშაქრავდა ენას. უფრო მეტი სინალისით იწყებდა ჩემს შემკობა-შელამაზებებს. დავადგებოდი გზას და მესმოდა:

— ვაიმე, რა აცაბაცა მიაქვს ფეხები ამ საბრალოს. მაშ ტყუილად მიტყვევია შენთვის ის პატიოსანი თივა!

ან უცებ დამიძახებდა:

— გუჯი, დადე ძირს კონა!

დავდებდი. მოვხედავდი, რას იტყოდა. თავო საღდაც ჯაგნარში თითს იშვერდა.

— ავერ იქ, ჯაგებში კუნელია, მომიკრიფე და მომიტანე.

მეც მივძვრებოდი ჯაგებში კუნლის მოსაკრეფად.

კაი ბიჭი ხარ და ნუ წახვალ, იმისთანა ჩიუტი, თავის ნათქვამაა, თვითონ წავა, არც ჯაგებს დაერიდება, არც ეკალ-ბარდებს, კუნელს მოკ-



რეფს და გაგებუტება, შინამდე ისე ივლის, ხმას არ გაგცემს.

გუშინწინ ლელეში ზღმარტლს მოჰკრა თვალი. მოსაკრეფად ორივე გაგვაგზავნა. თვითონ შეშის კონაზე ბაწრის თეთრი შალი დადო, დაჯდა და ლოდინი დაგვიწყო.

მიწა სველია, ჩვენ ლელეში ფრთხილად ჩავდივართ. ჯაგის ტოტებს გეჭიდებით, რომ ფეხი არ დაგვიცდეს, თავ-პირზე მსხვილი, ცივი წვეთები გვეცემა, უარესად გვისველებს ისედაც გათივებულ ტანსაცმელს, კაზიროკიანი ქუდეები უფრო დაგვიმძიმდა. ზღმარტლამდე როგორც იყო მივალწვიეთ. მწიფე ყავისფერი ნაყოფი ბლომად შერჩენოდა კენწეროებს. შაშვეებს ჯერ ვერ მოესწროთ გამოკენკვა.

მე მუხის ხეზე ავედი და ზღმარტლი იქიდან გადავიწოდე, რამდენიმე მოვწყვიტე, ერთი ცალი პირში ჩავიგდე, დანარჩენი თედოს ჩავუყარე ქუდეში.

ლელის ზევიდან თავოს ხმა მოისმის:

— ეი, ნამჯილეჭიებო, ზღმარტლი სულ თქვენ არ შემოგეჭამოთ. მეც წამომიღეთ, თორემ კონებს ქვევით დავთვორებთ.

მე პასუხი არ დაუუგვიანე:

— ვისაც თევზი სურს, ფეხი უნდა დაისველოსო, — გადმოვალაგე

მთელი სიბრძნე და ძირს თედოს ჩაგხედე, რომ თვალი ჩამეკრა, ნახე, რა ვუთხარი-მეთქი.

— ჩუმად, ბიჭო, რას რატრატებ, თითქოს არ იცოდე მაგის სასიათი, ეწყინება, — შემომიტია თედომ. ენაზე ვიკბინე, როგორ დამავიწყდა-მეთქი და ხმამაღლა, თავოს გასაგო-

ად ვთქვი: — გაგეხუმრე, გოგია, ართლა მაგ კონებზე არ იყარო ჭავი.

თავო აღარ გამპასუხებია. ცუდად ენისა. ზღმარტლის ტოტს ხელი უშვი და მუხიდან სწრაფად ჩამოერიალდი, მართლა კონები არ დაგვიგოროს-მეთქი. ლელიდან ლამის დათხილი ავვარდი ზევით. თავო თავის კონაზე იჯდა, ერთმანეთთან სეტყუებულ ხელები მუხლებზე დაყვებით დაეყრდნო, ზედ ნიკაპი ამოდო და ფართოდ გახელილი, ბირონი თვალებით სადღაც სივრცეში იყურებოდა.

— გეწყინა? — ვკითხე და ჩემს კონაზე ჩამოვჯექი.

დუმილი.

თედომ ქუდიდან ზღმარტლი ამოდო და მიაწოდა.

— მაპატიე, რა! — დაველირივე თავოს. იმან არც მაშინ გამცა პასუხი, ზღმარტლი კალთაში ჩაიყარა და ება-ნება დაუწყო ქამა. სულ რომ რათავა, ადგა, კაბის კალთა დაიკვერთხა, შალი თავზე მოიხვია. კონა იზიდეთო, აღარ უბრძანებია ჩვენთვის, აქაოდა, უსაზღვროდ ნაწყენი არა. თავისი კონა თვითონ მოიკიბა ზურგზე და ბილიკს დაადგავინა ჩვენს კონებს დავავლეთ ხელი.

შინამდე კიდევ კარგა შორი იყო. ექობს რომ ჩავივლიდით, პატარა დინარე უნდა გავვეტოვა, მერე ისტევილთან მივიდოდით, ნაბოსტანებზე გადავტყობდით და ჩვენს ორივეში ამოვყოფდით თავს.

მდინარე წყალმცირე იყო. მარტო პაზაფხულობით, თოვლის დნობისას მოდიდებოდა, ან კოკისპირული წვიმების დროს. სხვა დროს კი კაცს ოქვებზე თუ მოადგებოდა. მდინარეზე გადასვლისას ფეხი რომ არ დაგვევლებოდა, წყლიდან ამოჩრილ ბოლებზე უნდა შევმდგარიყავით და ტუნვა-ბტუნვით გავვეგრძელებინათ. უტვირთოდ ეს ადვილი იყო, მაგრამ ზურგზე კონამოკიდებულებს ვეჭვირდა, ძალიან ფრთხილად უნდა მოქცეულიყავით, რომ ფეხი ქვაზე არ დაგვეცდნოდა და ყინულივით კივ წყალში არ ჩავგვარდნოდა.

მდინარეს რომ მივადექით, მე და თედოს გვეგონა, თავო აქ მაინც მოიკლებებდა ჩვენს დასაქმებას, გაღმა მხარეს კონას გადაგვატანებდა. მაგრამ ხმა არ ამოუღია, არც შეუსვანია, პირველ ქვაზევე შედგა ფეხი, მერე მეორეზე, მეორის იქით შესამე — სოკოს თავივით მრგვალ-ბურგა ქვა ამოჩრილიყო წყლიდან. აქ მოსახვედრად მეორე ქვიდან მსუბუქად უნდა ესკუბა. ეს მე და თედოს კარგად გამოგვდიოდა. მიჩვე-

ულები ვიყავით შეშის კონებიანად ბტომას. ვდგავართ და თვალბედაყვტილი ვუყურებთ, რას იზამს თავო. მან მეორე ქვიდან ისკუბა და უიო, იკივლა. კონამ მარცხნივ გადასძლია, ფეხი ქვაზე დაუცდა და კონიანად წყალში მოადინა ტყაპანი. ჩვენ კონები ძირს დაყვართ და წყალში შევცვივდით. მთლად სველი, წიწილასავით გაზუნზული თავო ფეხზე წამოვავყენეთ და ნაპირზე გავიყვანეთ.

მეორე დღეს თავო სკოლაში არ მოსულა. გაკვეთილების მერე მე და თედო შინ რომ დავბრუნდით, ვიკითხეთ და ელენე დეიდამ გვეთხრა, სიცხე აქვს, ცუდად არისო, დავლონდით, თავს რატომღაც დამნაშავედ ვგრანობდით და ნახვა ვერ გავებდეთ. უფრო მეტად შეწუხებული მე ვიყავი. რატომ ენა არ მომტყდა, რომ თავო მოვიმდურე-მეთქი, გულში ვლანძღავდი ჩემს თავს.

თავოს სახლიდან წელმოწყვეტილებივით გამოვბრუნდით, ზურგზე თითო ფუთი ხორბალი მოვიკიდეთ და წისქვილში წავედით. გვიან ღამით მოვიტანეთ ფქვილი შინ და დავთქვით — ხვალ, რადგან კვირა იყო, დილით ჯერ თავო გვენახა, მერე ტყეში შეშაზე წავსულიყავით.

ახლა ვიდექით მის საწოლთან და უკან გაბრუნება გვეძნელებოდა, უთაკოოდ აღარ გვეხალისებოდა ტყე.

თოვლის ფიფქებს გადაეთერებინა ხეები. ძირს გაშლილი ფოთლები რბილ, თეთრ ლუიბად ექცია. ერთ ადგილას პაწაწინა თათების ანაბეჭდი ვიპოვეთ — თრითინას გადაერბინა. თავო ჩვენთან რომ ყოფილიყო, იქნებ კვალი უყურადღებოდ არ დაგვეტოვებინა, გავყვებოდით, გავყვებოდით და შეიძლება იმის სორისთვის მიგვეგონო, შიგ ზემორისათვის გადანახულ თხილს, მაკალოს ან ტყის პანტას ვიპოვიდით, მაგრამ ისე ვიყავით მოწყენილები, თრითინა მალე დაგვავიწყდა. დავდიოდით, ვეძებდით ხმელ, ნაკაფ ფიჩხს და თითქოს ისიც მთლად გამქრალიყო, ისე ადვილად ველარ ვპოულობდით, როგორც წინა დღეებში, როცა სამივენი ერთად ვიყავით, როცა თავოც ჩვენთან ერთად ექებდა შეშას.

როგორც იყო, ორი კონისათვის საჭირო შეშა გამოვარჩიეთ ნაკაფი ფიჩხებიდან, მაგრამ წალდს მაინც არ ვაჩერებთ, ისევე ვსხებთ და ვსხებთ ხის ხმელ ტოტებს, მესამე კონის შეკვრასაც ვაპირებთ. შეშას ერთად ვავროვებთ, თვალთ ვზომავთ. თავოს წილ კონას ეყოფა თუ არა, ავ-

ხედ-დავხედავთ, თვალში გვეცოტაკება, მართლა იმოდენა კონას ზომ არ წავიღებთ, თავოს რომ შევუკრავდით ხოლმე, იმაზე მეტი უნდა იყოს.

თოვლი კი მოდის და მოდის. ცამ პირი მოხსნა, ეტყობა, ბარაქიანად დადებს. მალე ტყის ბილიკები ისე დაითოვლება, ფეხის მოკიდება გაჭირდება. დაღმართზე რა უშავს, კონას ან დააგორებ, ან დაითრევ და ისე ჩაიტან ხეებში, აი, მერეა საქმე, იმ ბეჭობის აღმართს რომ ავუყვებით, თავო რომ შემოგვეწყრა. ფეხი ცურავს, კონის სიმძიმე უკან გაქაჩება, თუ წაიბორძიკე, კონა ისე დაგემხობა თავზე, ქვემოდა ზურგის გამოცლას ვერ მოასწრებ.

სამივე კონას შვინდანწლის წნელები ამოვუჭირეთ, ორ-ორი წნელი კიდევ დავგრიხეთ. რეზინის ფენსაცმელებზე მკვიდრად შემოვიხვიეთ, რომ ფეხი საიმედოდ დაგვედგა ძიწაზე.

რასაც ვაკეთებთ, სულ ჩუქად... უმძრახებივით ვართ. თედო ჯერ ისე იყო სიტყვაძვირი, უთქმელი და, რაც თავო ავად ვახნა, მთლად დაძუნჯდა: მარტო ხვნეშის, წნელს გრებს — ხვნეშის, რამეს ვეკითხები — ხვნეშის, კონას იკიდებს ზურგზე — ხვნეშის. იმ მდუმარე ტყეში, სადაც მარტო თოვლის ფიფქების ჩუმი შრიალი ისმის, სევდა გედება გულზე და მაშინ უფრო მწვავედ, მტკივნეულად ვახსენდება ომი, რომელმაც ფრონტზე წასული. საყვარელი ძამები მოგვანატრა. რამდენი ხანია, არც თედოს მიუღია წერილი, არც მე და არც თავოს.

— ახლა რას ინატრებდი? — ვეკითხები თედოს.

— რაა? — ვერ გაიგო. ის ჯერ თავოს კონას იკიდებს წასაღებად.

— რას ინატრებდი-მეთქი ახლა?

— ეჰ, რა ვიცი, — ხელს იქნევს და ხვნეშის.

მე არ ვეშვები:

— მა არაფერი გაქ სანატრელი, ბიჭო?!

— რო ვინატრო, ვითომ რაო!

— არაფერი, უმძრახებივით რომ ვართ, გული გასივდა, ცოტა ვილაპარაკოთ.

— რას ვინატრებდი და თავოს კარგად ყოფნას!

— ჰო, მეც მაგას ვინატრობ, — ხელდახელ დავეთანხმე თედოს. — ასე მგონია, ხვალ ფეხზე წამოხტება ჩიტვივით.

თედოს არ სჯერა. დუმს ისევე, ვატყობ, მეტს ველარაფერს ვათქმევინებ, კონა მეც მოვიკიდე ზურგზე. თედო მიდის, თოვლში წნელმოჭირილი ფენსაცმლის ღრმა კვალი

იბეჭდება, კვალში კვლები და შივ-
ღევ.

ტყის პირას გავედით. თედო თა-
კოს კონას ძირს დებს, უკან თავისი
კონის მოსატანად ბრუნდება. არ შე-
მისვენია, ჩემი კონა თავისით შეე-
ცვალე, მიმაქვს და თვალწინ სიცხი-
საგან ლოყებატყრეცილი თავო მესა-
ხება: ფილტვების ანთების ნიშნები
აქვსო, — ელენე დეიდას შიშნარევი
ხმა ჩამესმის ყურში. ნეტავი როგო-
რია ფილტვების ანთება? ალბათ
ძალიან მძიმე ავადმყოფობაა. უხ,
შე მართლა ნამჯილეჭიავ, — ვუწყრე-
ბი და ვათხზავ ჩემს თავს, — რა
ეშმაქმა მოგაგონა ის ანდაზა, ხო
იცოდი, თავოს მაგისთანები არ უყ-
ვარს და არ შეგარჩენდა. ჩუმად
რომ ვყოფილიყავი, არც წყალში ჩა-
ვარდებოდა.

ასე მონაცვლეობით, როგორც
აღრე ვშვრებოდით, მესამე კონაც
ვატარეთ, ოღონდ იმ განსხვავებით,
რომ თავო ჩვენს გვერდით არ იყო
და მისი მხიარული ხმა არ გვესმო-
და: ეგრე, ეგრე, ჩემო ხარებო, თითო
იღლია თივა თქვენზე ალალია, აი
თქვე ნამჯილეჭიებო.

თაკოანთ ეზოში კონა რომ შევი-
ტანეთ, სახლიდან ელენე დეიდა გა-
მოვიდა, გვიყურა, გვიყურა და იკით-
ხა, — ეს რადააო.

— ეს კონა თავოსია, — თქვა თე-
დომ და კონაში გაჩხირული წალდი
გამოაძრო.

— თქვენ რაღა, ბიჭებო? — გაკ-
ვირვებული თვალს აღარ გვაცილებ-
და ელენე დეიდა. ალბათ ეგონა,

ერთ-ერთმა ჩვენგანმა კონა დათმო
და შეიძლება უშეშოდ დარჩა.

— ჩვენც და თავოსაც, სამი კონა
შეშა მოვიტანეთ განა! — დავასწარი
თედოს.

ელენე დეიდას სახეს სიამოვნების
სხივმა გადაურბინა.

— უი თქვენ კი გაიხარეთ, რა კარ-
გები ხართ! მადლობელი ვარ, შვი-
ლებო, მადლობელი. მოდით. გათ-
ბით!

— არა, სანამ გახურებულები
ვართ, შეშას დაგიკუწავთ, — თქვა
თედომ და გუდურას წნელები შე-
აწყვიტა.

წალდი მეც მოვიმარჯვე. ცულისა
და წალდის ცემისაგან წელგადაწყ-
ვეტილი მუხის კუნძები მოვათრიეთ
და დავიწყეთ კუწვა. სულ რომ დავ-
ქერით, საჩხუში მშრალ ადგილას და-
ვწყვეთ.

— მადლობა, შვილებო, დიდი
მადლობა. ისე, სულზე კი მოგვის-
წარით, შეშა აღარ მქონდა, ღობის-
ათვის უნდა გამოიმეტვრია, — ამ-
ბობდა გახარებული ელენე დეიდა
და ისიც გვითხრა, დილას თქვენ რომ
შინიდან გახვედით, ჩემმა მახლი-
შვილმა წამლები მოიტანა და თავოს
დავაღვივინეთ.

სახლიდან თავოს ხმა მოისმა:

— მანდ ვინ არიან, დედა?

ელენე დეიდამ რამდენიმე შეშის
ნაჭერს ხელი დაავლო, შინ შევიდა
და თავოს ხმამალა გაეპასუხა!

— გუჯი და თედოა, გენაცვალე!

შეპატიეებას აღარ დავუცადეთ,
თავოს ხმა გავიგონეთ და გარეთ რა
გავგაჩერებდა. ბაწრის წინდებზე

ყინვარი შეპარივით შეკოწიწებული
თოვლი ქულებით გავიყრევინეთ და
სახლში შევედით.

— უჩემოდ წახვედით ტყეში,
არა? — გვისაყვედურა თავომ. შევი,
ბრიალა თვალებით შემოგვატყერდა.

ელენე დეიდამ ლუმელთან სკამები
დაგვიდგა. დავსხედით.

— არც კი გრცხვენიათ, — ახლა
ეს დასძინა თავომ.

— კარგად რომ გახდები, მაშინ
ვივლით ერთად, — დამნაშავესაგით
წაიბურტყუნა თედომ და ქუდი მო-
იხნადა, კახიროკს დაუწყო წვალემა.
ქუდი მეც მოვიშველიე.

— მე დიხანს ვერ წამოვალ ვერც
ტყეში და ვერც სკოლაში. დღეს
ექიმმა თქვა, შეიძლება ერთ თვემდე
მოუწიოს წოლაო, ცოტაც რომ გა-
ცივდეს, შეაქცევსო, — ნაღვლიანად
თქვა თავომ და თვალბში ცრემლი
მოადგა.

ელენე დეიდამ ლუმელში შეშა შე-
აწყო.

— თავო, ამათ შენი წილი შეშაც
მოიტანეს, იცი?

— ჩემი წილიც? — თავომ თავი
ოდნავ წამოსწია ბალიშიდან, რომ
კარგად გავგონა, რა თქვა დედამ.

— ჰო, მესამე გუდურაც მოიტანეს
და დავიკუწვის კიდევ.

— მართლა?

— სანამ კარგად გახდები, შეშას
არ მოგაკლებთ, — დაპპირდა თედო
და მე გადმომხედა, რას იტყვისო.

თავი დაექუჩიე, მაგას რა ლაპარა-
კი უნდა-მეთქი.

— მოდი აქ, ბიჭო, — თქვა თა-
კომ. ის თედოს უყურებდა. თედო
მძიმედ წამოღდა.

— ახლოს მოდი!

თედო საწოლთან მივიდა.

— დასწი თავი!

თედომ თითქოს ვერ გაიგო, იდ-
გა გაშტერებული.

— უიმე, დედა, რა მართლა ხარი-
ვითაა, თავი დასწიე-მეთქი.

თედომ თავი დახარა, თავომ საბ-
ნიდან შიშველი, გამხდარი მარჯვე-
ნა ხელი გამოყო, თედოს კისერზე
მოხვია და ძირს დაქაჩა, მისი ლოყა
ტუჩებთან მიიტანა, აკოცა. მერე მე
დამიქნია ხელი. მივედი, დავლუნე
თავი და სიცივისაგან გათოშოლ ლო-
ყაზე თავოს ცხელი ტუჩები აი, ისე,
უცებ თბილი ნიავი რომ შემოგიქ-
როლებს, იმგვარად მომეცაცუნა.

— გმადლობთ, ჩემო ხარებო, —
ჩვიჩურჩულა თავომ, საბანი თავზე
წაიფარა და ატირდა. ჩუმად ტირო-
და, რომ ჩვენ არ გავგეგონა.

ჩვენს ზურგს უკან კი, თუნუქის
ლუმელში, თავოს წილ შეშას მხი-
არულად გაუდიოდა ტკაცატკუცი და
საამურ სითბოს აყენებდა.



აზავი მუხნარში

რა ანუხებით ღივებს —
 მუხის შვილიშვილებს?
 — უხ! ოხ! — ბერმუხებმა
 ოხვრას მოუხშირეს:
 — სანყლებს, მთელი თვეა,
 ფესვებს უხმობს გვალვა!
 თელას უჩურჩულებს
 შიშნაჭამი ალვა:
 — კიდევ კარგი, სუსტი
 ღივები რომ არ ვართ.
 — აბა, აბა, დაო,
 ვინვი მათი ცოდვით.
 — რას გვემდურის ზეცა,
 წვიმა რად არ მოდის!
 იქვე ქამა სოკოც
 ველარ ფარავს წუხილს:
 — პატარებმა როგორ
 გაიმაგრონ მუხლი!

ჰეი, ქარო, ქარო,
 ჩქარა ღრუბლებს უხმე!
 უცებ სხვა ხეებიც
 ერთხმად აჰყვნენ მუხებს.
 — ქრ! — მოვარდა ქარი,
 ქარი ბობოქარი,
 გადმოჰყარა მთაზე
 ღრუბლის თეთრი ჯარი,
 ტყეს დასძახა ასე:
 — ნულარა გაქვთ ჯავრი!
 წვიმის კაცუნები
 ეცნენ გვალვის კაცებს.
 — თუ არ წახვალთ ნებით,
 არ დაგინდობთ არცერთს!
 მეტოქენი ხელად
 მეომრებად იქცნენ
 და ფარ-ხმალის ელვამ
 გაანათა სივრცე.

ახლა: — წკაპ-წკაპ! — წვიმა
 მოდის, მოლილინებს.
 ტყე ვერცხლისფრად ბრწყინავს,
 უხარიათ ღივებს.



იაკუკლა

ტოტგაფარჩხულ ბუჩქის ახლოს
 იას ჰქონდა სამოსახლო.
 „ეჰ, ნეტავი ფრთები მომცა,
 რომ ქვეყანა კარგად ვნახო;
 გაზაფხულზე სისხამ დილით
 ზეცა ლურჯ თვალს როგორ ახელს
 როგორ შევნის მზის მანდილი
 გადაცვარულ ბალჩა-ბალებს!...“
 და აუხდა ნატვრა იას,
 თავს ცის ნამი ჩამოეპნა,
 აფარფატდა, აჰყვა ნიავს
 და უეცრად იქცა პეპლად.
 ლურჯი ფრთები გამოესხა,
 ათასფერად დაწინკლული.
 — გმადლობ, ცაო! — მხოლოდ ეს
 თქვა,
 აუთრთოლდა ნაზი გული.
 ჭრელი ჭალა ლაღი ფრთებით
 მოიფრინა თითქმის სამჯერ.
 ყელს უწვდიდნენ ყვავილები:
 — ჩემთან დაჯექ!
 — ჩემთან დაჯექ!
 და პანია, სათუთ ყლორტებს
 წინ უგებდნენ ფიანდაზად.
 ბედს და იღბალს შეჰნატროდნენ

და უკმევდნენ სურნელს გზა-გზა.
 იქვე, გზაზე კობტა ჩქერი,
 ცივ არხიდან გადმოსული,
 შეეგება ტკბილ სიმღერით:
 — დღე დაგიდგა ჯადოსნური!
 დუ-დუ! დუ-დუ! ჩემო კარგო,
 გამახარა შენმა ნახვამ,
 ახლა კი არ დაგვეკარგო,
 აქ იფრინე, შორს ნუ წახვალ! —
 უცებ, სკუბ და, — ყუა! ყუა! —
 ვინ ამოჰყო წყლიდან თავი?
 არემარე გააყრუა,
 რას ჩიოდა საცოდავი?



ვიშ, რა გონჯი გომბეშო ვარ,
 რისთვის გაეჩნდი ქვეყანაზე,
 მეორედ ხომ აღარ მოვალ,
 რად დამსაჯა ღმერთმა ასე?! —
 ივიშვიშა, ჰოდა, ბოლოს
 ხტუნვა-ხტუნვით აჰყვა ბორცვებს.
 — მოშურნე კი არ გეგონოთ,
 იავექლავ, ის მაოცებს,
 თვალწარმტაცი იყავ ადრე
 და კვლავ ლამაზ პეპლად იქეც,
 რა ვარსკვლავზე დაიბადე,
 შენს მეგობრებს გვითხრა იქნებ.
 და მიუგო იავექლამ:
 — დასამალი მართლაც რა მაქვს!
 მიკვირს, დღემდე რად ვერ
 მიხვდით —
 არც ჯადოს ვფლობ, არც სხვა
 ძალას,
 ვარ თქვენივე მიწის მკვიდრი
 და უბრალო იავექლა.
 თქვენგან ერთი განსხვავებით
 დამყოლია ნიჭი ნატვრის
 და ამიტომ მაქვს თვალები
 ავსებულები მზის სინათლით.
 დაილოცოს მისი მადლი! —
 თქვა და უხმო მერე ნიავს,
 ფრთა გაშალა და ფარფატი
 მწვანე სივრცეს შეერია.



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 4

დაუნიწყარი ლექ

ზაფხულის არდადეგები რაჭის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, სამკურნალო მინერალური წყლებით განთქმულ კურორტ უწერაში გავატარე. როგორც გავიგე, რევოლუციამდე ამ კურორტის შესყიდვა ინგლისელებს სდომებიათ, მაგრამ მის მფლობელ გამყრელიძეებს ოქროზე არ გაუცვლიათ თავიანთი ადგილ-მამული.

ერთ დღეს სანატორიუმ „ფაზისის“ მიერ ნიკორწმინდის სანახავად მოწყობილ ექსკურსიაში მივიღე მონაწილეობა. გავიარეთ სოფელი ნაკიეთი, სსრკ სახალხო მხატვრის უჩა ჭაფარიძის სოფელი ღარი, თვალი შევავლე მთის ფერდობზე შეფენილ სოფელ შარდომეთს, სადაც დაიბადა სახელოვანი რევოლუციონერი ალი-ოშა ჭაფარიძე; დავთვალიერეთ ბარაკონის ტაძარი; გადავსვრეთ სოფელი წესი. თქვეს, წესი იმიტომ ჰქვია, რომ აქ მცხოვრები ერისთავები კანონებსა და წესებს გამოსცემდნენ.

აი, ძალზე ლამაზი სოფელი ნიკორწმინდა. მის შუაგულში აღმართულია საქვეყნოდ განთქმული ხუროთმოძღვრული ძეგლი ნიკორწმინდა. გოცბული ავცქეროდი ნაირსაირი ჩუქურთმებით დამშვენებულ მთა თორმეტ სარკმელს და მაგონდებოდა გალაკტიონის სიტყვები:

ნეტა ვინ მოჰქარგა,
და როცა მოჰქარგა,
შიგ მიჰქარგ-მოჰქარგა
გზნება — ნიკორწმინდა.

ტაძრის გუმბათი ცამდისაა აღერილი, მაღლიდან ამაყად გადასცქერის სივრცეს. დიდი პოეტის თქმისა არ იყოს, მეც ფრთები მომინდა, რომ დიდხანს მეფრინა ამ საოცარი ძეგლის გარშემო.

მუდამ სიხარულით მომაგონდება ის ლამაზი დღე.

სოფიკო ოთარაშვილი,
თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული
სკოლა, IV კლასი.

უხეხედნიარად ლაინყო...

კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ჩვენი სკოლის შეფი გახდა. და აი, მალე ჩვენი უფროსი მეგობრები — სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტის პირველკურსელები პროფესორ-მასწავლებლებთან და ინსტიტუტის კომკავში-

რის კომიტეტის მდივანთან ერთად სკოლაში გვეწვიენენ.

შეხვედრამ ხალისიანად და საინტერესოდ ჩაიარა. მეგობრებს დავათვალიერებინეთ ჩვენი სკოლის ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიის კაბინეტ-ლაბორატორიები. სტუდენტებს განსაკუთრებით ყვავილებში ჩაფლული ბიოლოგიის კაბინეტი მოეწონათ.

სტუმრებმა ძალზე ბევრი ინფორმაცია მოგვაწოდეს თავიანთი ფაკულტეტის, ინსტიტუტის შესახებ. ვეიამბეხ მისაღებ გამოცდებზე, განგვიმარტეს ჩვენთვის საინტერესო საკითხები.

ყველას მოგვეწონა ბიოლოგიის მოყვარულთა ვიქტორინა. ვიქტორინაში გამარჯვებული საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. რაც შეეხება სპორტულ ვიქტორინას, მასში გ. მაძულაშვილმა გაიმარჯვა.

განვიხილეთ სკოლაში ახალშექმნილი „ნორჩ მედიკოსთა კლუბის“ სამომავლო გეგმები. სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მოიწონეს ის, რომ კლუბში ძირითადად მერვეკლასელები გავერთიანდით.

შეხვედრა ამით არ ამოწურულა ერთმანეთს ვუჩვენეთ ჩვენი მხატვრული თვითმოქმედება. ჯიფროსმა მეგობრებმა სამახსოვრო საჩუქრები ვადმოგვცეს. დაჯილდოვდნენ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, ცალკეული კაბინეტები.

ჩვეულებრივი ამბავი

(ჩანახატი)

იგი გამორჩეული არაფრით არ ყოფილა — ერთი ჩვეულებრივი ძალღი იყო, დიდრონი, ნაღვლიანი თვალებით.

დილით, სკოლაში წასასვლელად რომ გავემზადებოდი, წკმუტუნით უკან ამედევნებოდა, მოუსვენრობდა, ხანდახან გაჩერდებოდა, სევდიან თვალს მომამუტერებდა.

— გამარჯობა, ძაღლო, — ვეტყვოდი,

მივეფერებოდი. ალერსიანად შემომცქეროდა. გამვლელი გაკვირვებული მოგვიჩერებოდნენ ორივეს, ხანდახან გაიცინებდნენ, რალაცას ჩაილაპარაკებდნენ და გავგცილებოდნენ.

ის ყველას ცოფიანი ეგონა, თუმცა არასოდეს ყოფილა ასეთი.

დღე დღეს მისდევდა, კვირა—კვირას, ზაფხულს ზამთარი ცვლიდა, ზამთარს — შემოდგომა, დრო გადიოდა.

ძაღლი კი სულ ქუჩაში იყო, ისედაც გაძვალტყავებული, დღითი დღე უფრო ხდებოდა.



დიკლო

რა ლამაზი ხარ, დიკლოო,
ტყეებო ფიჭვნარიანო,
მთის წვერო ყინულოვანო,
გორებო, ცხვრის ფარიანო.

ზახტანგ ბიჟნაიძე,
ახმეტის რაიონი, ქვემო აღვანი,
IV კლასი

ასე რომ, „ნორჩ მედიკოსთა კლუბ-მა“ ბიოლოგიის მასწავლებლის ქ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით თავისი არსებობა ფეხბედნიერად დაიწყო.

განია შაკიაშვილი,
გურჯაანის რაიონი, კარდანახის
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

**დასამახსოვრებელი
შენიშვნა**

მე და ჩემმა მეგობრებმა სიამოვნებით წავიკითხეთ ჩვენი რაიონის მკვიდრის ჯანრი გოგეშვილის მოთხრობა „გამოძახილი“, რომელიც ჟურნალ „პიონერის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. გადავწყვიტეთ მოგვეწყობა ამ მოთხრობის საჯარო განხილვა და მალე განზრახული საქმედ ვაქციეთ.

დანიშნულ დღეს სკოლაში მოვიდნენ მოთხრობის ავტორი და სტუმრები, წარმოვადგინეთ ინსცენირება. დავანასიათეთ პერსონაჟები, შეკითხვებით მივმართეთ ავტორს. ჯ. გოგეშვილს საჩუქრად გადავეცით ალბომი, რომელშიც ჩაეხატეთ მოთხრობის მიხედვით შესრულებული ილუსტრაციები.

ჯ. გოგეშვილმა მადლობა გადაუხადა სკოლის დირექციას, მთელ პედაგოგიურ კოლექტივს, მეექვსე კლასის მოსწავლეებს ასეთი გულთბილი შეხვედრისთვის და გვისურვა წარმატებები სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თამარ გვგიაძე,
დანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლა,
VI კლასი.

მაშინაც მობუზული იდგა გზის პირას, რომ მივუახლოვდი, არც განძრეულა, თვალებით კი თითქოს მთხოვა რაღაც, მაგრამ რა, ვერ მივხვდი, — ალბათ აღამიანებისადმი თავისი სამდურავი გამანდო.

ჩავიჩოქე, მოვეფერე. ისეთი წკმუტუნი მორთო, თვალებზე ცრემლი მომადგა — ტიროდა ძალი...
ჩემს ხელში დალია სული, ლაპარაკი რომ შესძლებოდა, ალბათ მეტყობდა კიდევ რაიმეს...

მას შემდეგ სკოლაში მარტო დავ-

დივარ, აღარ მაცილებს მისი დიდრონი თვალების ფარული სევდა.

გული მტკივა, რომ ის ყველას ცოფიანი ეგონა, თუმცა არასოდეს ყოფილა ასეთი. ერთი ჩვეულებრივი მოხეტიალე ძალი იყო, ძალზე მეტყველი, ნალვლიანი თვალებით.

თამარიკო შაიშვალაშვილი,
ხილნაღის რაიონი, ტიბანის
საშუალო სკოლა, IX კლასი.

გაზაფხული

გაზაფხული მოახლოვდა, ზამთარს გაუსკდა გული, დნობა დაიწყო თოვლმა, ადიდდა ნაკადული. ბუჩქის ძირს გაჩნდა ყვავილი, ლამაზად დაქარგული, მონყვეტა დაგენანება, ისეა დახატული. ხეს დაებერა კვირტები, ჩიტმა უმატა სტვენას, მრავალ გაზაფხულს დაგასწროთ, გულით გილოცავთ ყველას!

ვიტალი ბარათაშვილი,
ზესტაფონის რაიონი,
მეორე სვირის საშ. სკოლა, III კლასი.

ორი მეზობელი

ერთ სოფელში ორი მეზობელი ცხოვრობდა — ბატონი მაიერი და ბატონი შულცი. ბატონ მაიერს წიგნები უყვარდა, ბატონ შულცს კი — ყვავილები.

ერთ საღამოს ბატონი შულცი თავის მეზობელთან მივიდა და წიგნი სთხოვა. ბატონმა მაიერმა იუარა, წიგნს ვერ გათხოვებთ, თუ გსურთ, აქვე წაიკითხეთო.

გავიდა სამი დღე. ბატონმა მაიერმა თავის ბაღში ყვავილების მორწყვა გადაწყვიტა. მაგრამ სარწყავი გაუფუჭდა და სათხოვნელად ბატონ შულცს მიაკითხა. ბატონმა შულცმა უარით გამოისტუმრა, ვერ გათხოვებთ, თუ გნებავთ, თქვენი ყვავილები ჩემთან მორწყეთო.

**გერმანულიდან თარგმნა
ვერიკო სპინიკაშვილი,
ქარელის რაიონის აბანოს
8-წლიანი სკოლა, VI კლასი.**

დედას

გიყურებ, ჩემო დედა, სულ დაგთოვია თმები, რად სევდიანობ ნეტავ — ხომ არ დაბერდი, დედი? კვნესა რომ დამცდეს ნამით, მაშინვე ფეხზე დგები, შენ ჩემთვის დიდი მზე ხარ, და მზეზე უფრო მეტი.


ვიკი მამასახლისი,
მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო სკოლა, X კლასი.

ზღვა

— უუუ... უუუ...
ზღვის მშვიდი ტალღები ალერსით ელამუნებიან ნაპირს.

ჯიხვისრქიანი მთვარის ანარეკლი ლამაზად ლივლივებს ზღვაზე. ამ სილამაზის შემყურე ვარსკვლავებიც გაბრუებულნი გადმოსცქერიან მიძინებულ ქალაქს. იალქნიანი ნავები თეთრი გედებივით დასრიალებენ... შორს კი, ალბათ, მიცურავს კაპიტან ვრუნგელის ან სხვა კაპიტნის გემი და ნატრობს შორეული-ნაოსნობიდან სამშობლოში დაბრუნებას, რომ დატკბეს მისი სილამაზით და დაინახოს, როგორ აიშლებიან და გაუჩინარდებიან ჰორიზონტზე თოლიები...

ნათელა კალანდაძე,
თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული
სკოლა, III კლასი.



როგოჭი,
მალხაზ ტაბალიაშვილი,
5 წლის. თბილისი.

ახლა უკვე ის დროც დადგა, თვალი გადავავლოთ განვლილ გზას — რა გავაკეთეთ პიონერთა VIII საკავშირო შეკრების შემდეგ, რით ვხვდებით პიონერთა იუბილეს. პიონერული მარშის 1981-1982 წლების ეტაპი საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ნოქმედების ახალი საფეხური იყო. ამ პერიოდში ლენინის რაიონის პიონერებმა საფუძვლიანად შეისწავლეს საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები, იმ ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, ვის სახელსაც სიამაყით ატარებს ჩვენი რაიონი. ლენინური კომკავშირის, საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ისტორიასთან ერთად მათ მშობლიური რესპუბლიკის, ჩვენი დედაქალაქის, რაიონის კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციების ისტორიაც შეისწავლეს. ლენინის რაიონის პიონერული რაზმები აქტიურად მონაწილეობენ ექსპედიციებში: „დიდი სამამულო ომის მატთან“, „სსრ კავშირი ჩემი სამშობლო“, აგრეთვე ოპერაციაში „პიონერული დიდება“. ნორჩი ლენინელები დიდი გულისყურით ეცნობიან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო პოლიტიკას.

რაიონის პიონერთა მუშაობაში წარმოჩინდა თითოეული პიონერის მონაწილეობა უფროსების შრომაში, ყაბრათიანობისათვის ბრძოლაში; უფრო განმტკიცდა და საქმიანი გახდა პიონერული რაზმების ურთიერთობა ჩვენი რაიონის ფაბრიკა-ქარხნებთან, რაიონის 27-მა რაზმულმა მთელი რაიონი პიონერული ნოქმედების მიკრორაიონებად დაინაწილა.

ნორჩი ლენინელები ადგენენ რაიონის პიონერთა ორგანიზაციის 60 წლის მატთან. ლენინის რაიონი საქართველოში პირველი პიონერული რაზმების აკვანი გახლავთ, ასე რომ, ამ მიმართულებით ბევრი საინტერესო მასალის მიკვლევა შეიძლება. მარშის მიხედვით პიონერთა საქმიანობას უნარიანად უძღვება



ჩვენი კლუბის სტუმარია კომკავშირის თბილისის ლენინის რაიონის მეორე მდივანი, პიონერთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე

მანანა ნოჩიაშვილი

მარშს ფხვს უწყობენ

რაიონის პიონერთა სახლთან მოქმედი პიონერული აქტივის შტაბი. ახლოვდება, იუბილეს საზეიმოდღე. რაზმებსა და რაზმეულებს, მათ პიონერულ აქტივს ეს მზადება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. საგრძნობლად გამოცოცხლდა პიონერთა საქმიანობა მარშის სვლაგეზების მიმართულებით. წარმოჩინდა იმ შეჯიბრების კეთილისმყოფელი შედეგებიც, რომლის საბოლოო მიზანია საინტერესო მასალის მოძიება-შეკრება. ამის დასტურად მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე სკოლის მაგალითს:

138-ე სკოლის პიონერები აპირებენ „პიონერული დიდების გალერეის“ გახსნას;

სამუსიკო სკოლა-ინტერნატში სწავლობენ პიონერთა ორგანიზაციის დარსების დღიდან შექმნილ პიონერულ სიმღერებს;

მე-10 სკოლამ პიონერული ხეივანი გააშენა.

რაიონის ყველა რაზმეულში უკვე შედგა საბჭოთა კავშირის კომპარტიის 26-ე ყრილობისა და პიონერთა

VIII საკავშირო შეკრების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სამუშაო გეგმა, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შემუშავდა რაზმეულის პიონერული საქმეების ხუთწლედ.

მარშის მიხედვით ჩატარებული მუშაობის შედეგების შეჯამება რგოლებში, რაზმებში ორ თვეში ერთხელ ხდება, რაზმეულებში კი ისინი 19 მაისს დაჯამდება. ჩვენ გამარჯვებულების წახალისებაზეც ვიფიქრეთ. რაზმეულებს და რაზმებს, რომლებიც ღარჯვენაფლანგელის სახელს მოიპოვებენ, სამახსოვრო ლენტები გადაეცემათ, რგოლებს — ვიმპლები, იმ პიონერებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მარშის სვლაგეზებზე, პიონერულ წითელ დროშასთან გადავუღებთ სამახსოვრო სურათებს, გადაეცემთ სამკერდე ნიშნებს „აქტიური მუშაობისათვის“. საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სამზადისში, აქტიურ მონაწილეობა გვარებს რაზმეულის საპატიო წიგნსა და რაიონის პიონერთა საბჭოს საპატიო წიგნში შევიტანთ.

წლელს, 13 მაისიდან, ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა სკოლის რაზმეულში ჩატარდება პიონერული დიდების კვირეული. ლენინის რაიონის ნორჩი პიონერები კვირეულის დროს ეწვევიან კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს. ზეიმს გავმართავთ ჩვენს რაიონში მდებარე პიონერის ქუჩაზე, რომელსაც საზეიმოდ მორთავენ 129-ე, მე-7 და მე-8 სკოლების რაზმეულები. ზეიმზე მოვიწვევთ ამ ქუჩაზე მცხოვრებ პიონერთა ორგანიზაციის ვეტერანებს. რაიონის ყველა პიონერი და ოქტომბრელი მონაწილეობას მიიღებს შრომით ოპერაციაში; მოეწყობა ნორჩ მხატვართა გამოფენა „ფერთა პალიტრა“. გამოფენის მონაწილენი ლამაზი სამახსოვრო ბარათებით მიულოცავენ რაზმებისა და რაზმეულების უფროს მეგობრებს პიონერულ იუბილეს. კვირეულს დავამთავრებთ რაიონული შეკრებით — „ლენინისა და პარტიის საქმის ვართ ერთგულები“.

ავსტრალიელმა ასტრონომებმა ძალზე იშვიათი ტიპის შორეული ზეგნივანი ვარსკვლავი აღმოაჩინეს. ასეთი ვარსკვლავი ჩვენს გალაქტიკაში მხოლოდ ორია ცნობილი. ახალაღმოჩენილი მთები, რომლის სიკაშკაშე 100.000-ჯერ აღემატება მზისას, დედამიწიდან 8 მილიონი სინათლის წლით არის დაშორებული, ასე რომ, იგი მდებარეობს არა მარტო ჩვენი გალაქტიკის, არამედ უახლოესი გალაქტიკების ჯგუფის მიღმაც.

მოლაპარაკე წინა

ნიდერლანდებში შექმნეს მანქანა, რომელიც ხმაშემატებით სპეციალურად მომზადებულ სასტამბო ტექსტს. ეს მოწყობილობა გამოიყენება იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც მეტყველების დეფექტები აქვთ, აგრეთვე უცხო ენების შემსწავლელი მოსწავლეებისათვის.

მატარებლის გადაადგილება გრძელდება

გეოლოგისა და პალეონტოლოგის დარგების სპეციალისტმა დუგლას დიქსონმა გამოცხადებულა, რომელშიაც ამტკიცებს, რომ მატარებლის გადაადგილება მომავალშიც გაგრძელდება და 50 მილიონი წლის შემდეგ ჩრდილოეთი აფრიკა, ევრაზია, ავსტრალია და ჩრდილოეთ ამერიკა ერთ კონტინენტად შეერთდებიან, ხოლო სამხრეთ ამერიკა და სამხრეთ აფრიკა უზარმაზარ კუნძულებად დანაწევრდებიან.

80 ათასი წლის იარაღები


იაპონელმა არქეოლოგებმა კუნძულ ჰონსიუს ჩრდილო-აღმოსავლეთ მიდამოებში გათხრებისას აღმოაჩინეს 48 უნიკალური ქვის ნაწარმი. მათ შორის არის სამურველები, თოხები და სხვა სამუშაო იარაღები, რომლებიც 80 ათასი წლის წინათ სარ-



გებლობდნენ იაპონიის არქიპელაგის კუნძულთა მკვიდრნი.

ლოხ-ნისის დაუპატიჟებელი სტუმრები

ლოხ-ნისისკენ სულ ახალ-ახალი ექსპედიციები მიემშურებიან, რათა ბოლოს და ბოლოს დაადგინონ, მართლა არსებობს თუ არა შოტლანდიის ამ ტბაში წინასტორიული ეპოქის ურჩხული, სახელად ნისის რომ უწ-



ოდებენ. მის მოსაძებნად უახლეს მეთოდებსა და მოწყობილობებს იყენებენ. მაგრამ ჯერჯერობით უველა ცდა უშედეგოდ მთავრდება. ლოხ-ნისში კიდევ ერთი საზრუნავი გაუჩინა სწავლულებს, რომლებმაც ტბაში ზღვის ბრტყელი ქიები აღმოაჩინეს. ეს ქიები აქამდე მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის წყალხატვებში ბინადრობდნენ, ევროპაში არსად გვხვდებოდნენ. მაშ როგორ გაჩნდნენ ისინი ლოხ-ნისში? ვარაუდობენ, რომ მათ ამერიკიდან ნისის საძებრად ჩამოტანილი წყალქვეშა ნავის ფსკერს მიწებებულდებმა ჩამოაღწიეს და სწრაფად გამრავლდნენ. არავინ უწყის, რას გამოიწვევს მათი სიმრავლე ტბაში: შესაძლოა, ადგილობრივი თევზებისა და ნისის დამატებითი კვების წყარო გახდნენ, შესაძლოა ისიც, რომ ტბაში ეკოლოგიური წონასწორობა დაარღვიონ.

ჩვენი ბალატიკა „მთაცხველი“ უფილია

ავსტრალიელი ასტრონომები ვარსკვლავებიანი ცის ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ორი მილიარდი წლის წინათ სამყაროში მოხდა „კატასტროფა“. ერთმანეთს დაეჯახა ორი გალაქტიკა — ჩვენი და „უცხო“. მაგრამ საშინელი რამ არაფერი მომხდარა: გალაქტიკები ჯერ ერთმანეთს შეერივნენ, შემდეგ კი ისევ განცალკევდნენ. ოღონდ ეგაა, ირმის ნახტომში ვარსკვლავთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა — ჩვენი გალაქტიკის უფრო ძლიერმა მიზიდულობის ძალამ მილიონობით უცხო ვარსკვლავი მიიტაცა. ასტრონომთა ჯგუფის ხელმძღვანელი როჯერსი ამტკიცებს, რომ მიტაცებულ ვარსკვლავებს ჩვენი გალაქტიკის „აბორიგენებისაგან“ განსხვავებული სტრუქტურა აქვთ, სხვანაირ ორბიტებზე და სხვა სინქარით მოძრაობენ.

დედა ეკითხება შვილს:

- მე მოგცემ 12 ვაშლს, 3 ცალს შენ შეჭამ, რამდენი დაგჩრება?
- თორმეტი, — უპასუხა ბავშვმა.
- ცხრა, — შეუსწორა დედამ.
- არა, დედიკო, 3 ცალი შიგნით იქნება, ცხრა — გარეთ, სულ კი — თორმეტი.

ანატოლ ფრანსის ყოველდღე თავის ბაღში სეირნობდა და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა.

ერთხელ სტუმარი წაადგა თავს.

- თქვენ რა, საკუთარ თავს ეკამათებით?
- დიახ, — უპასუხა მწერალმა,
- მიუვარს საუბარი მოაზროვნე ადამიანთან.

ერთ კლასში, სადაც წყალწალე ბულის გადარჩენას სწავლობდნენ, მასწავლებელი შეეკითხა მოსწავლეებს:

— როგორ გადაარჩინთ წყალწალე ბულებს კაცს?

ერთმა მოსწავლემ სწრაფად უპასუხა:

— უპირველს ყოვლისა, წყლიდან ამოვიყვანთ კაცს, შემდეგ კი პირიქით — კაციდან წყალს.

— პარაშუტს ვყიდულობ, — უთხრა მყიდველმა გამყიდველს.

— მშვენიერი პარაშუტია, ბატონო, ოღონდ გადმოხტომისას შეიძლება არ გაიხსნას, მაშინ მომიტანეთ და გამოგიცვლით.

ფრანგულიდან თარგმნა ლიბ კოვახიძემ

კავშირის ცენტრი

ბიჭი და თუთიყუში



მანფრედი ადამიანთა სწორედ იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელსაც წარმოდგენაც კი არ აქვს, რამდენ ხანს გაგრძელდა ოცდაათწლიანი ომი. ერთი თუთიყუში ჰყავდა, მუდამ მხარზე შემოსმულს დაატარებდა და მის გარდა სხვა არაფერი აინტერესებდა. სწავლაში ჩამორჩენა რომ დაეძლია, მშობლები დამატებით ცნობილ პროფესორთან — თომას კაილბერტთან ამეცადინებდნენ.

პროფესორი კაილბერტი ჰკვიანი კაცი იყო, პირველი და მეორე მსოფლიო ომებისათვის მშვიდობით გაეძლო და, როგორც იყო, მანფრედსაც უძღვებდა.

ერთ მშვენიერ დღეს მანფრედის მამა, მდიდარი მეფაბრიკე ოტო გრაისი ესტუმრა პროფესორ კაილბერტს.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — ჰკითხა პროფესორმა.

— უკვე ოთხი წელია, ჩემი ვაჟი თქვენთან მეცადინეობს. მაგრამ ახლა ერთი სასწრაფო შემთხვევის გამო თქვენგან განსაკუთრებული დახმარება მჭირდებაო, — განუცხადა.

— რა მოხდა?

— სამი თვის შემდეგ ჩემი ძმის, ფერდინანდის დაბადების დღეა და მინდა, მანფრედმა ამ დღეს ბიძამისს ზეპირად ლექსი უთხრას.

— რამხელაა ლექსი?

— ექვსსტროფიანი.

პროფესორს შეძრწუნებისაგან სახე დაეღრიჯა, მაგრამ კარგა ბლომად შეთავაზებული დამატებითი გასამრჩელოს ცდუნებას ვეღარ გაუძლო და დათანხმდა.

მაშ, ასე: მანფრედი მხარზე შემომჯდარი თუთიყუშით ყოველ დღე ორ-ორ საათს პროფესორთან ატარებდა. გამოცდილი პროფესორი ბიჭს ლექსს მონდომებით აზეპირებინებდა.

ძმის დაბადების თარიღამდე სამი დღით ადრე მანფრედის მამა კვლავ ეწვია ბატონ კაილბერტს. ბატონმა გრაისმა ყურადღებით შეათვალთვრა ჯერ მანფრედი, მერე თუთიყუში, ბოლოს პროფესორს შეხედა და ჰკითხა:

— როგორ მიდის საქმე, შეისწავლა ლექსი?

პროფესორი მდუმარედ მიაჩერდა სტუმარს. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— არა, — როგორც იქნა, წარმოთქვა პროფესორმა.

— მაგრამ გულის ნუ გაიტხებთ. არსებობს გამოსავალი. შეგიძლიათ ლექსი თუთიყუშს ათქმევინოთ, მან უკვე კარგა ხანია, დაისწავლა იგი.

გერმანულიდან თარგმნა
შ. აშირანაშვილმა

საკითხავი

ჩვენი უფროსი მეგობრები — ყრილობის დღეებზე (წერილები) 1

ვოსკრპსენსკანი ზ. — ფიცი (მოთხრობა) 4

ცაბარელი თ. — ახურეთელი პიონერები ხანაქებოდ ირჭებიან (ნარკვევი) 7

კომპარძე პ. — უხახურავო კიბე (მოთხრობა) 10

დიდგაშვილი ალ. — მხის საგალობელი (ლექსი) 17

ნამორძე ალ. — დილა; უხათაურო; კოლხეთში (ლექსები) 17

პრიციანი ო. — მსოფლიოს ბავშვებს (ლექსი) 18

იგიტიანი ჯ. — მსოფლიოში პირველი (წერილი) 18

ბრიგორიანი შ. — სულ ახალგაზრდა დედები გვევადებს (ლექსი) 19

აბაზინანი ლ. — ყველაზე კარგი ადამიანი, ვისაც ვიცნობ (წერილი) 19

ხაჩიანი ს. — ექიმო უნდა გამოვიდე (წერილი) 19

ბრიგორიანი ვ. — რატომ არის კობორჩხალა მუნჯი (მოთხრობა) 20

ვოსკანიანი მ., თამარიანი მ. — სამოცდაშვიდი წლის პიონერხელმძღვანელი (წერილი) 21

ასლამაზიშვილი ვლ. — თაკოს ხარები (მოთხრობა) 23

პიპინაძე ბ. — ამბავი მუხნარში; იაქვალა (ლექსები) 27

აი ს ი 28

კოცონი 30

ჯაღოსური სარკე 31

უცხოური იუმორი 31

ბიჭი და თუთიყუში (იუმორისტული მოთხრობა) 32

ცხრაკლიტული გარეკ. 3

გარეკანის 1-ლ გვერდზე ნერგები — მხატვარი ზ. მამარიაშვილი.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუშპარ ახსნაშაპა, ჯურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაშორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, როგორც ლარიგაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამგინანი (პ/შგ. მდივანი), ლიანა შეფიშვილი, ჯურაბ წვარიკაშაშვილი, ჯურაბ ჰუმბურძინი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 23. 03. 82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 04. 82 წ. ქალაქის ფორმატი 60×90¹/₃. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 529. ტირ. 152000. ეგვ. უე 06851.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60×90¹/₃, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 152 000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1982 წ.

ქ რ ო ს ვ ო რ დ ი

თბარაჯულად: 1. ესპანეთის ქალაქები, სადაც ჩატარდება 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში; 8. ქალაქი ირანში სპანეთის ფეხბურთელთა კლუბი; 27. გფრ-ის ფეხბურთელთა გუნდი; 29. ქალაქი მდინარე სესტრაზე; 30. ქართველი ფეხბურთელი; 37. ქართული გაზეთი; 39. სარწყავად გაუ-

ფელი ხაშურის რაიონში; 6. მდინარე ხაშკრეთში; 7. საქართველოს რაიონული ცენტრი; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა კლუბი; 10. ოკეანეთის კუნძული; 12. ქალაქი ესპანეთში; 14. გარეული ფრინველი; 15. წარსულში სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი; 17. მდინარე ინდოეთში;

16. რუმინეთის ფეხბურთელთა კლუბი; 21. ფუტარის ბინა; 23. ქალაქი ფილიპინებზე; 24. ზღვისპირა ქალაქი ესპანეთში; 26. დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი, გფრ-ის ნაკრების წევრი; 28. მდინარე იუვესკო; 29. სახელმწიფო აფრიკაში; 31. ქალაქი ორსკის მახლობლად; 32. დროშა ანუ?; 33. თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი; 34. ხმელეთზე ამოწევილი ნაწილი, ბორცვზე მაღალი; 35. ქალაქი ტაილანდში, ლაოსის საზღვარზე; 36. სივრცე ანუ?; 38. შოტლანდიის ფეხბურთელთა კლუბი; 40. ამერიკელი პროფესიული მოკრივე; 41. ქალაქი ბირმაში; 43. სუბტროპიკული მცენარე; 46. იტალიის ფეხბურთელთა კლუბის „ინტერის“ მწვრთნელი; 47. სახელმწიფო აფრიკაში; 48. ქალაქ ფრუნზე ფეხბურთელთა გუნდი; 50. უვავილი; 51. დეკორატიული ბუჩქი; 52. მდინარე ვიეტნამში.



რსეთის ურესთან; 11. ნახევარკუნძული ევროპაში; 13. მდინარე ციმბირში; 16. ტაშკენტის „პახტაქორის“ ფეხბურთელი; 19. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 20. წარსულში ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი, მელბურნის XVI ოლიმპიადის ჩემპიონი; 22. კურორტი საქართველოში; 25. საბერ-

ვანილი პატარა არხი; 42. ერთ-ერთი დიდი სტადიონი ევროპაში; 44. ლუქსემბურგის „ნიდერკორნის“ ფეხბურთელი, 1981 წლის ბომბარდირი; 45. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 47. ქალაქი იუგოსლავიაში; 49. პერუს დედაქალაქი; 51. თევზის საჭერი საშუალება.

შვეულად: 1. სახელმწიფო აზიაში; 2. მდინარე ლატვიაში; 3. სატანვარჯიშო იარაღი; 4. სახელმწიფო აფრიკაში; 5. სო-

შეადგინა ა. გორგოშვილმა

ქართული ხაზოვანი სიყვან-თქვანი პირდაპირი გაგებით



„მზე შუბის ტარზე იღბა“

„წინ გალაქტონა“

„თავი გამოიჩინა“

ზაზა პიტანაძე, ბათუმი, მე-1 კლასი



ზამთარი სვანეთში



ავტოპორტრეტი



დედა

ბეთქილ შაფურციანი

„კონკრეტის“ მკითხველს ვთავაზობთ თბილისის 148-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეს ბეთქილ შაფურციანის რამდენიმე ნახატის რეპროდუქციას.



ნატურმორტი



ამხანაგის
პორტრეტი

კვიზაძე

